№ 29

ხუთშაბათი, 17 მარტი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 29

ხუთშაბათი, 17 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათ.მდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ცირკი ძმათა ნიკიტინებისა.

ხუთშაბათს, 17 მარტს, დიდი წარმოდგენა გაიმართება 3 განყოფილებად მთელის დასის მონაწილეობით. სხვათა შორის, მე-2 განყოფილების ბოლოში, ასე 11 საათზე, გაიმართება **ორი კავკასიური ჭიდაობა.** პირველად იჭიდავებს ცნობილი ფალავანი **ჯიბგირი** ცნობილ ფალავან **ზურაბ პომაზაშვილთან.** ჯილდო—ვერცხლის საათი. მერე ცნობილი ჰერკულესი ფალავანი **რომო** დაეჭიდება კავკასიაში საუკეთესო მოჭიდავეს **ბაჭაშვილს.** ჯილდოდ 25 მან. თვითონ ფალავანმა **რომომ** დანიშნა. დასასრულ—კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. (1—1)

საარტისტო საზოგადოების თეატრი.

ხუთშაბათს, 17 მარტს, გამართული იქნება

კონცერტი.

ქართული საფილარმონიო საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად

მონაწილეობას მიიღებენ: კნ. სოფიო დ. დიასამიძისა, კნ. ბარბარე მ. ამირაჯიბისა, კნ. ანასტასია ნ. ჯამბაკურ-ორბელიანისა და ქალ. ბ. ტ. ზაგიუ ბბ-ნი ს. ა. ბარხუდარიანი, ა. გ. რჩეულიშვილი, ა. პ. მირანოვიჩი, ს. ა. ნასიძე, მ. ფ. ქორიძე, ილ. აბაშიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ზაქ. ფალიაშვილის დირიჟორობით.

ბილეთების ფასი 5 მან.-დან 70 კ. მოსწავლეთათვის 45 კ.

დასაწყისი საღამოს სრულ 8½ საათზე

ბილეთბი იყიდება „საარტისტო საზოგადოების“ კასსაში.

პასუხის მგებელი კონცერტის გამართვაში საზოგადოების თავმჯდ. **ი. ა. სულხანიშვილი** (3—2).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. ვედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჰიჰინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. ვედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე. —ვენერიული და კანისა 12½ 1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი — 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ჟ ჩიქოვანი —9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აშეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ჰ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზის (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

„ერთობის“ ნიადაგი.

—

ამ ბოლო დროს ბევრი სიტყვა და მელანი დაიხარჯა „ძმობისა“ და „ერთობის“ ქადაგებაზე. მიუხედავად სხვადასხვა უსიამოვნო ინციდენტებისა, ჩვენ მაინც გვინდა ვიფიქროთ, რომ ეს წერა და ლაპარაკი გულწრფელი იყო და სარჩულად მას ერთობის ნამდვილი სურვილი ედო. გვინდა ეს ასე ვიფიქროთ მით უფრო, რომ დღეს სწორედ ისეთი დროა, რომ, თუ სურვილი და შეგნება იქნება, შესაძლებელია შესუსტება იმ არა-სასიამოვნო ურთიერთობისა, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში სომხებსა და ქართველებს შორის არსებობდა და ჯერაც კიდევ არ მოსპობილა.

მაგრამ, რასაკვირველია, მარტო სურვილი და ცალიერი ლიბერალური ფრაზა საკმარისი არაა რეალურ ცხოვრებაში არსებულ განწყობილების შესაცვლელად და სასურველ ურთიერთობის დასამყარებლად. სურვილთან ერთად საჭიროა განსაზღვრულის გზით მოქმედება და მიზან-გათვალისწინებული საქმიანობა. ყოველი უკმაყოფილება, ყოველგვარი შუღლი და უთანხმოება მუდამ ჟამს რეალურ ცხოვრების ვითარებაზეა აღმოცენებული, და ვისაც გულწრფელად სწადიან ურთიერთობის გაუმჯობესება და ამგვარად დაქსაქსულ კულტურულ ძალის შეერთება და განაყოფიერება, პირველად ამ რეალურს ცხოვრებას უნდა მიაქციოს თავისი ყურადღება და ამ ცხოვრების პირობების შეცვლით უნდა ცდილობდეს სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა და ხალხთა ურთიერთობის განკარგებას.

სომხურმა პრესსამ და ინტელიგენციამ გამოსთქვა სურვილი ქართველებთან დაახლოვებისა და ურთი-ერთ შორის მეგობრულ განწყობილების ჩამოგდებისა. ამ სიმპატიურსა და სასარგებლო სურვილს თანაგრძნობითა და მხურვალე თანხმობით მიეგება ქართველი ინტელიგენცია და პრესსა, რომელიც უამისოდაც არას დროს არ ყოფილა მომხრე ეროვნულ მტრობის და სიძულვილისა. მხოლოდ ეს „თეორიული“ სურვილი ჯერ თეორიას თითქმის რომ არ გასცილებია და მოქმედების გზას არ დასდგომია. ამიტომ ჩვენ გვინდა დღეს მკითხველის ყურადღება ისეთ საკითხს მივაქციოთ, რომლის სასურველად გადაჭრა და მოგვარება დიდად ხელს შეუწყობს ურთიერთობის განკარგებას და ყველასაგან სატრფიალო „ერთობის“ გამეფებას..

ეს საკითხია ტფილისის ქალაქის საბჭოში სხვადასხვა ერთა წარმომადგენლობა. ყველამ იცის,—დაფარული აღარაა, რომ დღეს ქალაქის საბჭოდან, სომხის მსხვილ ბურჟუაზიის გარდა, ყველა სხვა ეროვნების წარმომადგენელნი თითქმის სულ გამოდევნილნი არიან. ეს გარემოება, როგორც იცით, შეადგენს ტფილისში ქართველ-სომეხთა გამწვავებულ ურთიერთობის ერთ მთავარ მიზეზსა და საგანს. ქართველებს არავითარი ხმა და გავლენა არა აქვთ იმ ქალაქში, რომელიც უხსოვარ დროიდან საქართველოს დედა-ქალაქად ყოფილა და სადაც ქართველსა და სომეხს მთელი საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთთან შეთანხმებითა და შეგუებით უცხოვრიათ.

სასაყვედუროა ასეთი ვითარება საერთოდ სომხის ხალხისთვის?—უეჭველია, არა. მთელ სომხის ხალხს ბრალი არ უდევს იმაში, რომ ტფილისში დიდი სახლები და სხვილი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი მისი ტომის ბურჟუაზიას უჭირავს და ამიტომ ქალაქის საბჭოშიც ეს ბურჟუაზია ბატონობს. „საქალაქო დებულებაში ისეთი დიდი ცენზია ამომრჩეველ მოქალაქესთვის დაწესებული, რომ მხოლოდ დიდ უძრავ-მოძრავ ქონების პატრონებს შეუძლიანთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება და საბჭოს სკამებზეც გამწკრივება. ბურჟუაზია ყველგან დიდი მადის პატრონია და ჩვენშიაც მას, ასპარეზის გაჩენისთანავე, მადა გაეხსნა, თავმოყვარეობა მოემატა და თავისი თავი სომხის ერის ბელადად მებაირახტრედ გამოაცხადა. მგძნობიარე ეროვნულ სიმებზე დაკვრის გათამაშებით მან მიიმხრო დიდი ნაწილი სომხის ინტელიგენციისა, რომელსაც უამისოდ, შეიძლება, ამ ბურჟუაზიასთან, თავის იდეებითა და მიმართულებით, საერთო არა ჰქონდა-რა...

ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ,—დღეს სომხის ინტელიგენციაში თანდათან ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ ტფილისის საბჭოში გაბატონებული ბურჟუაზია ვერაფერ სამსახურს უწევს სომხის ხალხსა და ეროვნებას. თავისი განკერძოებით და «თვითმპყრობელობის» პრინციპის გამოცხადებით მან გადაამტერა სომხის უდანაშაულო ხალხს სხვა ხალხნი და ცხოვრება გაუძნელა ისეთ მხარეში, სადაც უპირველეს ყოვლისა საჭიროა ურთიერთ შორის კარგი მეზობლობა და მეგობრული განწყობილება...

ამას, უეჭველია, გრძნობს დღეს საუკეთესო ნაწილი სომხის ინტელიგენციისა. მაშასადამე, იგი დაინტერესებულია, რომ ეხლანდელი წყობილება შეიცვალოს და უფრო სამართლიანობასა და ქალაქის სარგებლობის მოთხოვნილებასთან შეთანხმებული წესი დამყარდეს. ეს ახალი წესი ნიადაგს გამოაცლის იმ ეროვნულ შუღლს, რომელიც დღემდის ქალაქის თვითმართველობის ნიადაგზე სწარმოებდა ტფილისში.

როგორი უნდა იყოს ეს „ახალი წესი“? ცხადია, იგი იმ დემოკრატიულ საფუძველზე უნდა აიგოს, როგორც დღეს ევროპის მრავალ ქალაქებში არის. არჩევნების უფლება უნდა ჰქონდეს არა მარტო სახლის პატრონს და ისიც—დიდი სახლის პატრონს, არამედ ყველას, ვინც ქალაქში ცხოვრობს. დემოკრატიული პრინციპი ყველას უფლებას სცნობს, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და სარწმუნოებისა. ხმის მხოლოდ სახლის პატრონებისთვის მიცემა და ყველა სხვა მცხოვრებთა უხმოდ და უუფლებოდ დატოვება ისეთი უსამართლობაა, ქალაქის ინტერესებისა და სხვადასხვა ეროვნებათა შორის კარგ განწყობილების დამყარებისთვის იმდენად მავნებელია, რომ ამ უსამართლო წესის წინააღმდეგ ყველა შეგნებული ადამიანები უნდა შეერთდნენ.

ქალაქის ძალას არ შეადგენენ სახლის პატრონები, რომელნიც თვითონ სხვისი ოფლითა და მონაგარით ცხოვრობენ. ქალაქის საქმეებში სახლის პატრონებზე უფრო დაინტერესებულნი არიან მუშები, ხელოსნები, ნოქრები, თავისუფალ პროფესიის წარმომადგენელნი, საერთოდ ყველა უმამულო და მშრომელი ხალხი. სახლის პატრონი, რომელიც, შეიძლება, იმავე ქალაქში არც-კი ცხოვრობდეს, სადაც სახლი აქვს გამოჭიმული, ქალაქის ბედ-ბედს განაგებს, ხოლო მუდმივი მცხოვრებნი, რომელნიც ყოველ ფეხის გადადგმაზე გრძნობენ ქალაქის მოუწყობლობას, მოკლებულნი არიან თავის მოთხოვნილებისა და სურვილის ნაყოფიერად გამოთქმის საშუალებას.

ამჟამად ტფილისის ქალაქის საბჭო აპირობს კავკასიის საერთო საჭიროებათა გამოკვლევას, რათა თავისი მოსაზრება უმაღლეს მთავრობასთან წარადგინოს და თუ ქალაქის ხმოსნებს საზოგადო საჭიროებაზე სჯა-ბაასი შეუძლიათ, მით უფრო უნდა შეეძლოთ იმ მთავარ ნაკლის შენიშვნა, რომელიც დღეს, არსებულ „საქალაქო დებულების“ წყალობით, ქალაქის მართვა-გამგეობის სფეროშია გამეფებული მათი მოვალეობაა თავისი ხმა შეუერთონ რუსეთის მოწინავე საზოგადოების ხმას და ენერგიულად მოითხოვონ, რომ ხსენებული კანონი შეცვლილ იქმნას და ქალაქის ყველა მცხოვრებთ მიეცეთ პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება.

ამით ჩვენი ხმოსნები ყველას დაგვიმტკიცებენ, რომ იმათ ნამდვილად სურთ ერთა შორის ძმობისა და სოლიდარობის განმტკიცება...

ქართლის ამბები.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

სურამი შემოვიარე და მეორე დღეს ფეხით მახლობელ სოფლებში წავედი. გავცდი თუ არა სურამს და შევედი წერილმანა ტყეში, სადაც საურმე გზა მიდის, ასამდე გლეხი ვნახე ერთად თავმოყრილი. სალამის შემდეგ გამოვკითხე, სადაურები იყვნენ. მათ დაასახელეს ექვსამდე სხვადასხვა სოფელი, რომელნიც სურამზე 8—10 ვერსით არიან დაშორებულნი. გლეხები ერთმანეთს უამბობდნენ თავ-თავიანთ სოფლების ამბებს. ლაპარაკი ჩამოაგდეს იმ კომისიაზე, რომლის წევრებიც არიან ბ-ნნი ვეიდენბაუმი და მაზრის უფროსები.

— „ჰო, ჩვენ გვეთხრეს,—დაიწყო ჩუმათელეთელმა კაცმა,—ამ დღეებში მაზრის უფროსი მოვა და თქვენს გაჭირვებას გამოგკითხავთო, მაგრამ ჩვენ იმას არ ვენდობით. ჩვენთვის იმას თავის დღეში არ უზრუნია და არც ახლა იზრუნებს. ხომ იცით, ყოველ წლივ სურამში ჯარი მოდის და ჩვენს მამულებში დგება. წარსულ წელსაც საზაფხულოდ აუარებელი ჯარი მოვიდა, ჩვენი დათესილი ყანები გაქრეს და ზედ კარავები დადგეს. დაგვპირდნენ, ადგილში ქირას მოგცემთ და გაჭრილ ყანებსაც გიზღავთო. მთელი ზაფხული ასე გაატარეს, მარიობისთვეში ჯარი წავიდა, ჩვენ კი ფული არ მიგვიღია. როცა ამათ ლოდინით არა გამოვიდა-რა, წერილობით ვთხოვეთ მაზრის უფროსს, გვიშუამდგომლეთ, რომ დაგვიბრუნონ ის ფული, რომელსაც დაგვპირდნენო. მაზრის უფროსს მთელმა სოფელმა ხუთჯერ მიეცით ასეთი თხოვნა, მაგრამ პასუხი არ გვეღირსეს. ახლა რომ მოდის, ნეტა თუ ჰგონია, რომ ჩვენ იმას ვენდობით და მივალთ იმასთან ჩვენის გაჭირვების სათქმელად“.

ასე დაათავა სიტყვა ჩუმათელეთელმა კაცმა და მას ყველანი დაემოწმენ. როცა მთლად მოსთვალეს თავიანთი გასაჭირი, ლაპარაკი ჩამოაგდეს ერთ მოხელეზე, რომელიც სურამის სასამართლოში მსახურებს. ამ მოხელეს საპატიო ადგილი უჭირავს და კიდეც განუზრახავს თავისი ადგილითა და გავლენით ისარგებლოს. ის რამდენსამე კაცს დამუქრებია: სამოც კაზაკს გამოვიწვევ და მთელს სოფლებს ავაკლებინებო. ამ ამბავს გლეხების ყურამდე მიუღწევია და ძალიან გულ-ნატკენნი არიან.

„რას გვემუქრება,—ამობდნენ გლეხები,—რა დაგვიშავებაო? ძალას ხომ არავიზე ეხმარობთ, რომ ჩვენი ასეთი გაუბედურება მოუწადინია? სულ ერთია, რაც უნდა ძალას მიმართონ, ჩვენ არ გავჩუმდებით, ჩვენსას მუდამ მოვითხოვთ. აქამდე ჩვენ ჯოჯოხეთში ვიყავით, ახლა კი სამოთხის კარებზე ვდგევართ: სამოთხე ძალიან კარგი ყოფილა, გვინდა შევიდეთ, მაგრამ ნებას არ გვაძლევენ. პირიქით, გვეუბნებიან, ისევ ჯოჯოხეთში დაბრუნდითო. არა, ჩვენ ჯოჯოხეთში არას გზით აღარ დავბრუნდებით, ან სამოთხეში შევალთ და ან სამოთხის კარებთან მოვკვდებით.

გლეხების სიტყვები იყო მტკიცე, ძალდაუტანებელი. შიგ გამოკრთოდა ძლიერება და უძლევი წყურვილი უკეთესის მერმისისა.

ყრილობა დაიშალა. მე სოფლებში გავიარე. გლეხები ყველგან ბჭობდნენ.

თითოეულ სოფელს ჰყავს ამორჩეული ოთხი კაცი და ისინი განაგებენ სოფლის საქმეებს. მომჩივნებსა და ბრალდებულთ სოფლებშივე ასამართლებენ.

12 მარტს ცედანისა და ქემფერის მღვდლები თავთავიანთმა მრევლმა დაიბარა. გლეხებმა ხატზე და სახარებაზე შეფიცეს ერთმანეთს, რომ არაფერში არ უღალატებენ და საქვეყნო საქმეს ზურგს არ შეაქცევენ.

ამასთანავე გლეხებმა გადასწყვიტეს, სდევნონ ყველა იმ კაცებს, რომელნიც სოფელ-სოფელ დადიან და, არა თუ თავად-აზნაურთა ამოხოცავს, გლეხების გადაწვასა და ხოცვა-ჟლეტასაც უქადაგებენ. ერთ სოფელში გლეხებმა ასე გადმოგვცეს:

„ასეთ მავნე კაცებს დღეიდან კრინტს აღარ ამოვაღებინებთ. ისინი ჩვენი მტრები არიან ეს ძალიან კარგად ვიცით. ზოგი მოდის სოფლებში, ფულს აგროვებს ვითომდა საქვეყნო საქმისათვის და შემდეგ თვითონ სჭამს. ამ დღეებშიც ერთმა კაცმა ფული შეაგროვა გლეხებში. შემდეგ ის კაცი ხაშურში ვნახეთ. დუქანში იჯდა და ქეიფობდა. ასეთს კაცებს ახლა კარგად ვიცნობთ. ისიც კარგად ვიცით, ვინც გვიგზავნის ასეთ კაცებს. ჩვენ გვეჯავრებიან გამომგზავნელებიც და გამოგზავნილნიც“.

ერთს სოფელში რომ გავიარე, გლეხებმა საეჭვო კაცად მიმიღეს.

„ვინა ხარ შენ,—მკითხეს იმათ,—რას დადიხარ აქეთ, რას ათვალიერებ? იქნება მთავრობის ჯაშუში ხარ და ჩვენდა გამოსატეხად მოხვედი. იქნება გინდა ერთმანეთის ამოჟლეტა გვიქადაგო? არა, შენ ვერ მოგვატყუებ, წადი და უთხარი მთავრობას, რომ აღარ ვსტყუვდებით, ერთმანეთს აღარ ვხოცავთ. ჩვენ ახლა ვიცით, სიკვდილის ღირსი ვინც არის“.

ბევრი მეცადინეობა დამჭირდა დამემტკიცებინა, რომ მე „შპიონი“ არ ვიყავი.

საცა მამასახლისი ან მწერალი შემხვდა, სულ წუწუნებდნენ და გოდებდნენ. ხალხს ისინი აღარა სურს, თვითვე ასრულებს იმათ მაგიერობას. მამასახლისიცა და მწერალიც ემორჩილება გლეხთა სურვილს, მაგრამ მათ ერთი რამ აბრკოლებს: მამასახლისებს და მწერლებს მთავრობის მოწერილობანი მოუვიდა, თქვენ თანამდებობას თავი არ გაანებოთო. ვინც თანამდებობას თავს გაანებებს, ორის წლით დატუსაღებულ იქმნებაო. მამასახლისები და მწერლები ბოქაულს, რომელიც აგრეთვე უმოქმედოდ არის, ჯაჭვით უხვდებიან, სოფელში კი უჯაჭვოდ დადიან.

დიდს განსაცდელში არიან მღვდლებიც. ყველასათვის ცხადია, რომ წელს ქართლში ვერც ერთი მღვდელი დრამას ვერ მიიღებს. მღვდლებმა გლეხებს თვითონვე გამოუცხადეს, წელს დრამას არ ავიღებთო. მღვდლებს იმედი ჰქონდათ, მთავრობა ნებას დაგვრთავს სამღვდელოების საერთო კრების მოწვევისასო, მაგრამ ასეთი უფლება არ მიეცათ. აქეთა სოფლების მღვდლებმა განიზრახეს, ხელმეორედ სთხოვონ მთავრობას კრების მოწვევის უფლება. მღვდლები სამღვთო წესების აღსრულებაში წინანდელებრ ფულს ველარ იღებენ.

რ—ბ—ლი.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

15 მარტი.

მადრიდი, 15 მარტი. (ჰავასი). დიპლომატები შიშობენ, გერმანიის იმპერატორის ტანჟერში მოსვლამ ესპანიას მაროკკოში ხელი არ შეუშალოს, სადაც ესპანიას აზრადა აქვს თავის მუშებს სამუშაო მოუპოვოს.

მოსკოვი, 15 მარტი. დილას სწრაფის მატარებლით პეტერბურგიდან ჩამოვიდა დიდი მთავრინა მარიამ ალექსანდრეს ასული, საქსენ-კობურგ-გოტსკის ჰერცოგინია. სადგურზე მიეგებნენ უავგუსტოესი ასული პრინცესსა ბეატრისა და მთავრობის მოხელენი.

სამარა, 15 მარტი. ვაჭართა კრებამ, რომელსაც აზრად ჰქონდა ნოქრებთან განწყობილების მოწესრიგება, დაადგინა: დაკანონდეს თორმეტ საათის სამუშაო დღე, აქედან საათნახევარი სადილისთვის; ორის კვირით განთავისუფლება და ავადმყოფობის დროს სამი თვის ჯამაგირით დახმარება. ეს დახმარება მიეცემათ იმ ნოქრებს, რომელთაც სამი წელიწადი უმსახურნიათ.

ეკატერინოსლავი, 15 მარტი. ალექსანდროვსკის ადგილობრივ ქარხნებში (გარდა ბადოვსკისა), მექარხნეებთან შეთანხმების გამო, პარაკლისები გადაიხადეს. მუშებს გაუმასპინძლდნენ. ქარხნებმა მუშაობა დაიწყო.

მარიუპოლი, 15 მარტი. ზღვაზე ყინული დხვება. კალმიუსზე ყინული დაიძრა. მოვიდა რიგის საზოგადოების პირველი სახარგო გემი „ანნა“.

კიევი, 15 მარტი. გუშინ საბჭომ გადასწყვიტა, შუამდგომლობა აღძრას, რომ ქალაქს სესხად მიეცეს 150,000 მანეთი სახალხო სამკითხველოს შენობის ასაგებად.

კინეშმა, 14 მარტი. აქ არსდება სწავლა-განათლების დამხმარებელი საზოგადოება. წესდება უკვე შეიმუშავეს.

კალუგა, 15 მარტი. დღეს მოხდა უკანასკნელი საგუბერნიო კრება საგლეხო კანონმდებლობის გადასასინჯავად.

პეტერბურგი, 15 მარტი. იმ კითხვების განხილვის ჟამს, რომელიც 12 დეკემბრის ბრძანების დროს მეშვიდე მუხლმა გამოიწვია, მინისტრთა კომიტეტმა ყურადღება მიაქცია იმ შემავიწროებელ დადგენილებათ, რომელიც პოლონეთში მიწის მფლობელობას და დასავლეთის ცხრა გუბერნიაში პოლონელების სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურს შეეხება; მინისტრთა კომიტეტის აზრით, საჭიროა ზემო აღნიშნულ დადგენილებათა ძალის შემსუბუქება. ამ საგანზე მსჯელობა მომავალ სამშაბათს დასრულდება.

პეტერბურგი. სამარყანდის ოლქის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-ლეიტენანტს მედინსკის, ებოძა ხარისხი კავალერიის გენერალისა და სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა.

ბერლინი. რეიხსტაგში ბიულოვის შემდეგ ვაჭრობის მინისტრმა მელლერმა ილაპარაკა. ორივენი სცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ აუცილებლად საჭიროა მუშებმა თავიანთი წარმომადგენელნი იყოლიონ. ბიულოვმა სთქვა: „რახან მწარმოებელთ ნება აქვთ შეადგინონ სინდიკატები და არტელები, არც მუშათა

კავშირები უნდა იყოს აკრძალულიო». მელლერმა კი დაუმატა, მუშებსა და მეპატრონეთა შორის უთანხმოების დროს მთავრობა დიდ გაჭირვებაში ვარდება იმის გამო, რომ მუშებს თავიანთი წარმომადგენელნი არა ჰყავთო.

რიგა, 15 მარტი. 14 მარტიდანლიფლიანდიის გუბერნიაში გაძლიერებულ დაცვის წესები გამოცხადებული.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 15 მარტი. მურომის უურეში პურით და მაზუთით დატვირთული ოცი ნავი იწვის. დიდ გემებსაც შიში მოელის. ზარალი ასიათას მანეთს უდრის.

ბაქო, 15 მარტი. ბიბი-ეიბათში მანთაშევისა, ოლეუმის და „ნავთის საზოგადოების“ ქარხნები იწვის.

ლისაბონი, 15 მარტი. იმპერატორი ვილჰელმი ლისაბონს მოვიდა. მეფე საპარადო ნავით მიეგება. მეფეებმა ერთმანეთი გადაჰკოცნეს და სასახლეში სასადილოდ წავიდნენ. სადილზე ბევრი სადღეგრძელო იქმნა წარმოთქმული ამ ორ ერთა ძმობა-შეკავშირებაზე.

პეკინი, 15 მარტი. რუსის ელჩს ადგილობრივმა ექიმებმა ოპერაცია გაუკეთეს.

პენზა, 15 მარტი. პენზის გუბერნიის მუშათა გაჭირვებულ ცხოვრებისა და ეკონომიურ მდგომარეობის შესასწავლად გუბერნატორის თავმჯდომარეობით შემდგარმა რჩევამ მოქმედება დაიწყო.

მიტავა, 15 მარტი. კურლიანდიაში გაძლიერებულ დაცვის წესები შემოიღეს.

მადრიდი, 15 მარტი (ჰავასი). გაზეთების უმრავლესობა ამბობს, საფრანგეთის დახმარებით, ესპანია მაროკკოში ფეხს მოიმაგრებსო.

მარსელი, 15 მარტი. კუნძულ მადაგასკარიდან მოვიდა როჟესტვენსკის ესკადრის გემი „მელბორნი“ და თან 28 ავადმყოფი მატროსი მოიყვანა; ორი მათგანი გზაში გარდაიცვალა.

ბერლინი, 15 მარტი. პრუსიელების დეპუტატთა პალატაში ბიულოვმა წარადგინა კანონ-პროექტი სამთო მრეწველობის შესახებ, რომლითაც ამტკიცებდა, რომ მუშების კანონიერ მოთხოვნილებათა უკმაყოფილება მშვენიერი სახსარი იქმნება სოციალ-დემოკრატების წინაამდეგაო. ბიულოვი სთხოვდა პალატას, უცვლელად მიეღო მისი პროექტი, რითაც მუშები დარწმუნდებიან, რომ კანონმდებლობის იმედით გაფიცვაზე ტყუილად არ აუღიათ ხელიო.

პარიზი, 15 მარტი. გაზეთი ,,მატენი'' აცხადებს, გერმანიამ ძალიან ჩქარა შეიტყო ინგლისისა და საფრანგეთის ხელშეკრულობა მაროკკოს შესახებო. დელკასემ რამდენჯერმე აღიარა, ეს ხელ-შეკრულობა სრულებითაც არას ავნებს გერმანიის ინტერესებსაო. იგივე გაზეთი აცხადებს, გერმანიის იმპერატორის ახლანდელი მოგზაურობა სრულებითაც არ არის პოლიტიკურ ხასიათისა, რაც საფრანგეთმა დიდი ხანია იცისო.

ლონდონი, 15 მარტი. პარლამენტის შეკითხვის გამო ინდოეთის საარტილერიო ჯარის ერთი აფიცერთაგანი სწერს პარლამენტს: მთავრობის ასეთი გულგრილობა იარაღის გამოგზავნის საქმეში ვერ აგვიხსნია; ჩვენი ბედი ბეწვზე ჰკიდია. ჩვენს არტილერიას ისე გაანადგურებენ, ერთ სროლასაც ვერ მოასწრობს. ის ზარბაზანი, რომელიც წამში სუთჯერ მეტად ვერ გაისვრის და ისიც 5 ათას მეტრის მანძილზე, რა თქმა უნდა, მეტოქეობას ვერ გაუწევს ისეთ იარაღს, რომელიც ტყვიას 7 ათას მეტრზე ისვრისო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ინდოეთის საქმეთა მინისტრმა ბროდრიკმა განაცხადა, იანვრისა და თებერვლის განმავლობაში შავმა ჭირმა ინდოეთის იმპერიაში 253, ათასი კაცი იმსხვერპლაო.

ათინა. აქ ძლიერ პესიმისტურად უყურებენ კუნძულ კრიტის საბერძნეთთან შემოერთების სურვილს. მთავრობამ ურჩია კრიტელების სახალხო წარმომადგენლებს, ზომიერად იმოქმედონ და ძალა არავის დაატანონ.

ნიუ-იორკი. გესლერ რუსსო, რომელმაც რამდენისამე თვის წინად ინგლისის გემ ,,უმბრი''-თ ნაღმი გაჰგზავნა, დამნაშავედ აღიარეს. რუსსომ განაცხადა, ნაღმი მავნებელ თვისებისა არ იყოო, ამითი ინგლისის გაფრთხილება მინდოდაო.

სიმფეროპოლი, 15 მარტი. მდინარე ვოლგაზე მურომის უურეში საშინელი ცეცხლი გაჩნდა. სულ ცოტა ხანში დაიწვა 25 ნავი და სამი გემი. ცეცხლი უფრო ძლიერდება, რადგანაც ბევრი ნავთის ნავიც დაიწვა.

ვარშავა, 16 მარტი. ნოლკენი თან-და-თან კარგადა ხდება.

ბაქო, 15 მარტი. მანთაშევის და ბიბი-ეიბათის სამრეწველოში ცეცხლი გაჩნდა; დაიწვა ნავთის სამი კოშკი ცეცხლი გადავიდა ,,ოლეუმის'' სამრეწველოშიაც, აქაც ნავთის სამი კოშკი დაიწვა.

ყარსი, 15 მარტი. მარტის უკანასკნელ რიცხვებში ყარსისა და განჯის გუბერნიებიდან 200 მალაკნის ოჯახი ამერიკაში აპირებს გადასახლებას.

მოსკოვი. ნაფიც ვექილების თანაშემწეთა კრებაზე ის აზრი გამოითქვა, რომ მომავალ რეფორმების დროს უმთავრესი ყურადღება გლეხებისა და მუშების მდგომარეობას უნდა მიექცესო. თათბირს ლეონიდ ანდრეევიც დაესწრო, რომელსაც კრება ტაშის ცემით მიეგება.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

15 მარტი.

ტოკიო. მუკდენსა და კაიუანს შორის ხიდები შეკეთებულია. მატარებელთა მოძრაობა განახლდა. გზები შეაკეთეს მუკდენსა და ლიაოიანს შორის და მისვლა-მოსვლაც განახლდა. მდ. შახეზე ხიდის შესაკეთებლად მუშაობა ისევ სწარმოებს. იაპონელთა ლაშქარი შეუჩერებლად კიდევ წინ მოიწევს.

200 კაცი ჩინეთის გაუწრთვნელ კავალერიისა, რომელნიც რუსებს დაუქირავებიათ თვეში 30 იენად, შეუერთდა ორას ყაზახ-რუსსა და ტაშიჩაოს მიდამოებში იერიში მიიტანა იაპონელებზე ამ უკანასკნელ ბრძოლის დროს; ცოტა ხნის სროლის შემდეგ, ჩინელებმა იწყეს უკან დაწევა. ამან გააბრაზა ყაზახ-რუსები და რამდენიმე ჩინელი დახვრიტეს. — პორტ-არტურში იაპონელებს ხელთ ჩაუვარდათ ორი ათასი ცხენი. აქედან გამოარჩიეს 12 საუკეთესო ჯიშის ცხენი და მიკადოს უძღვნეს საჩუქრად.

შანხაი, 14 მარტი. რუსეთისა და იაპონიის ლაშქრებს, როგორც ეტყობათ, განზრახვა აქვთ დაიჭირონ ახალი პოზიციები მდინარე სუნგარის ორსავე ნაპირზე.

ჰამბურგი. რუსეთისაგან დაქირავებული გემი „აღრია“ დღეს ლიბავას მიდის.

ტოკიო. ფუშუნისა და იანტაის მღვიმე-მადაროები იაპონელებს დიდს სარგებლობას აძლევს. იაპონიის ესკადრის მეზღვაურებმა გენზანთან წყლიდან ამოიღეს რუსებისგან ზღვაში გაფანტული ასი ნაღმი.

ლონდონი, 15 მარტი. ჩვენი კორესპონდენტი იუწყება: იაპონიის საელჩოს მტკიცედ სწამს, რომ იაპონია რუსეთს სამხედრო კონტრიბუციას მოსთხოვს და ყოველ ღონეს იღონებს დაიჭიროს, რათა თავისი ავტორიტეტი უფრო გააძლიეროსო.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ვინ არის დამნაშავე, კუროპატკინი თუ პეტერბურგელი ბიუროკრატი? „ეკო დე-პარი“-ს სამხედრო მიმომხილველი, დანტესი რუსეთის სამხედრო დასთა შუღლს ეხება, და, სხვათა შორის, გენ. კუროპატკინზე ამბობს: რუსეთის ზოგიერთი გენერლები (დრაგომიროვი და სხვ.) თავიანთ სახელით სარგებლობენ და გენ. კუროპატკინს ჩუმად, ქურდულად მახეს უგებენ. ამ გაიძვერობას ცუდი შედეგი მოჰყვა. ამ შუღლმა ათი და ასი-ათასი უდანაშაულო სალდათი იმსხვერპლა. სად გაგონილა, რომ მეგობრის (გრიპენბერგის) თხოვნით სამხედრო ავტორიტეტმა (დრაგომიროვმა) მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდალი გაამტყუნოს და უსაყვედუროს, ვითომ გენ. კუროპატკინს არაფერი გაეკეთებინოს და სხ. მერე ამას ვინ ამბობს?—დრაგომიროვი. ის დაჟანგებული დრაგომიროვი, რომელმაც მთელი რუსეთის მხედრობა უვიცობისა, სიბნელისა, დახავსებულისა და ძველებურ პრინციპებზე აღზარდა. დრაგომიროვმა რუსეთის მხედრობა დაარწმუნა, რომ ზარბაზანსა და თოფს არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო, რომ ყველაფერი ხიშტზე, მორჩილებაზე და სალდათის უვიცობაზეა დამყარებულიო. მერე რა გამოვიდა აქედან? უბედურება. ის დაუსრულებელი უბედურება და დამარცხება, რომელიც არა ერთხელ იგემა (და შემდეგშიაც იგემებს) რუსეთის ჯარმა მანჯურიაში. დრაგომიროვმა რუსეთის მხედრობას ცუდი სამსახური გაუწია. ამავე დროს იაპონელებმა გენ. ლანგლუას სამაგალითო სისტემა შეითვისეს: ბრძოლის დაწყება ზარბაზნით, ზარბაზნისა და თოფის მოხმარება ახალ წესით, იერიშით მოსვლა გაფანტვით და არა ჯგუფად. მერე რა მოჰყვა იაპონელთა და დრაგომიროვის ტაქტიკას? მოჰყვა იალუ, ვაფანგოუ, პორტ-არტური, ცინჯოუ, სიმუჩენი, დაშიჩაო, ხაიჩენი, იანზელინი, მოდულინი, ლიაოიანი, შახე და მუკდენი. მერე როგორ არ შერცხვა გენ. დრაგომიროვს, როგორ არ დაიმალა ამის შემდეგ და თავის ხიშტიც არ მიჩქმალა! მაგრამ უბედურება ის არის, რომ გენ. დრაგომიროვს ხიშტმაც კი უღალატა: ყოველთვის, როცა კი საქმე ხიშტებამდე მივიდოდა, გონიერი, მარდი, მკვირცხლი და ამტანი იაპონელები უგონო, მძიმე, მოუხეშავსა და საკუთარ მოფიქრებას მოკლებულ რუსებს სჯობნიდნენ და წინ ირეკავდნენ. აქამდის რუსებს მხოლოდ ხიშტის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ესეც გაუცრუვდათ. ეხლა რაღას ურჩევს რუსეთის ჯარს განთქმული გენ. დრაგომიროვი? არაფერს. მაგრამ ამგვარი დახავსებული სამხედრო ბიუროკრატები ეხლანდელ ომის ბედს განაგებენ და თავისი მოწინააღმდეგე—გენ. კუროპატკინი გამოაგდებინეს. თუ აქამდის რუსეთი მარცხდებოდა, ეხლა სულ განადგურდება. ამაში დარწმუნებული ვარ და, თუ ვისმე არა სჯერა, ცოტა მოითმინოს და თვითონაც დარწმუნდება (პ. კ.).

„ფრანკ. ცეიტ.“-ში ერთი გერმანელი გენერალი სწერს: ამბობენ, რუსეთის დამარცხებაში კუროპატკინია დამნაშავეო. სანამ ამას ვიტყოდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, კუროპატკინი მართლა მთავარ-სარდალი იყო, თუ მხოლოდ პეტერბურგელ ბიუროკრატიის ბრძანებას ასრულებდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ კუროპატკინი ლიაოიანთან და მუკდენთან მხოლოდ სხვის ბრძანებას ასრულებდა. ეხლა საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ლიაოიანთან დამარცხების შემდეგ კუროპატკინს უბრძანეს, რათაც უნდა დაგიჯდეს, მუკდენი დაიცავიო. მერე უბრძანეს, წინ გაილაშქრეო. კუროპატკინმაც გაილაშქრა და დამარცხდა. მერე ისევ უბრძანეს, შახეზე გამაგრდიო. კუროპატკინიც გამაგრდა. იანვრის გასულს ბრძანება მოუვიდა, წინ გაილაშქრეო, მაგრამ ოიამამ დაასწრო, იერიში მიიტანა და კუროპატკინის განთქმული ჯარი მთლად გაანადგურა. პეტერბურგელი ბიუროკრატები იაპონელთა დამარცხებას კი არ ცდილობდნენ, არამედ რუსეთის სახელის დაცვას და... სასტიკადაც დაისაჯნენ. მუკდენი რომ შარშანვე იაპონელებისთვის დაეთმოთ, ასე უმაგალითოდ არ დამარცხდებოდნენ და სახელიც ასე არ გაუტყდებოდათ. მაგრამ შორს მჭვრეტელ ბოპოლა ბიუროკრატიამ თავის ცხვირს იქით ვერაფერი დაინახა და რუსეთი დაღუპა. ეხლა თავის შეცდომები მარტო კუროპატკინს მოახვია თავზე და სამხედრო საქმეს მარტო თვითონ ჩაუდგა სათავეში. ამას შემდეგ, ცხადია, როგორ წავა მომავალი ომი და ვინ გაიმარჯვებს, რუსეთი თუ იაპონია. თვითონ მუკდენს ხმელეთის ომისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც პორტ-არტურს ჰქონდა საზღვაო ომისთვის. მუკდენთან რუსების დამარცხება იმის ბრალია, ვინც კუროპატკინს უბრძანა, შახეს პოზიციები არამც და არამც არ დაანებო იაპონელებსაო (ჩ. პ.).

კუროპატკინის ბედი. კუროპატკინმა ითხოვა, ერთ-ერთ არმიის უფროსად მაინც დამნიშნეთო. უცხოეთისა და რუსეთის პრესსა თანაუგრძნობს კუროპატკინს და ამბობს, კუროპატკინის საქციელი ნამდვილი მოქალაქობრივი გამბედაობააო. კუროპატკინს მთავარ-სარდლობა ჩამოართვეს და შეურაცხყოფა მიაყენეს, მაგრამ კუროპატკინმა ამ შერცხვენას ყურადღება არ მიაქცია და საზოგადო საქმეს თავი არ დაანებაო (ნ.).

„ეკო დე-პარი“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: ერთი თვის წინად კუროპატკინმა ითხოვა, ნება მიბოძეთ მუკდენიდან უკან დავიწიოო, მაგრამ პასუხად მოუვიდა, წინ გაილაშქრეთო. ამის შემდეგ კუროპატკინმა მოითხოვა, სამსახურიდან დამითხოვეთო, მაგრამ ამაზედაც უარი მიიღო. კუროპატკინმა წინ გასალაშქრებლად დაიწყო მზადება, მაგრამ ოიამამ დაასწრო. ამ დღეებში,—სწერს კორესპონდენტი,—მანჯურიის ჯარის ისტორიიდან ბევრი საიდუმლოება გამომჟღავნდება. კუროპატკინი თხოულობს, ვიანგარიშოთ გამომიგზავნა თუ არა სამხედრო სამინისტრომ ის, რაც ვითხოვე და, თუ გამომიგზავნა, მომივიდა თუ არაო (ნ.).

რევიზია. „ეკო დე-პარი“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს გენერალისიმუსის ხარისხი და მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდლობა შესთავაზეს, მაგრამ იმან უარი განაცხადაო. ამას შემდეგ დიდ მთავარს მანჯურიის ჯარის რევიზია მიანდვეს. დიდი მთავარი თავის შტაბით ბრძოლის ველზე ჩავა, ადგილობრივ გამოიკვლევს საქმის მდგომარეობას და მხოლოდ ამის შემდეგ გადასწყვეტენ, განაგრძონ ომი თუ ზავი ჩამოაგდონ. თუ ვინიცობაა, ზავის ჩამოგდება გადაწყდა, რუსეთს ჩინეთის იმედი ექნება.

ჩინეთი სანეიტრალო სახელმწიფოა, მაგრამ ამ ომით ყველაზე მეტი ზარალი იმას მოსდის. ამიტომ ჩინეთს სრული უფლება აქვს—ყველა სახელმწიფოს დახმარება მოსთხოვს, რომ ომს ბოლო მოეღოს. ჩინეთი ასეც მოიქცევა და რუსეთიც უარს არ იტყვის (ბ. ი.).

რამდენი მებრძოლი ჰყავს იაპონიას. „ნ. ფრ. პრ.“-ში მოთავსებულია იაპონიის ჯარის რიცხვი, რომელიც სამხედრო საქმის ავტორიტეტების მიერ არის შედგენილი: 1) მშვენივრად გაწვრთნილი ჯარი: 13 დივიზია, თითოში 20 ათასი კაცი—260 ათასი; 3 დივიზია, თითოში 20 ათასი—60 ათასი; 13 ბრიგადა, თითოში 9 ათასი—117 ათასი; $11\frac{1}{2}$ ბრიგადა ლანდვერისა—103 ათასი; 2) ნაკლებად გაწვრთნილი: 1 სარეკრუტო ჯარი—173 ათასი; სათადარიგო ჯარი 1 ხარისხისა—185 ათასი, 3) უსწავლელი ჯარი: დანარჩენი სათადარიგო ჯარი—1,200 ათასი; ლანდშტურმი—1050 ათასი. სულ გაწრთვნილი ჯარი—930 ათასი; გაწრთვნილი—2,250 ათასი. ომის დასაწყისს რუსეთის სპეციალური გაზეთი (და სხვებიც) „ინვალიდ“-ი ამტკიცებდა, იაპონიას 350 ათასზე მეტი გაწრთვნილი სალდათი არა ჰყავსო. სად 930 ათასი და სად 350 ათასი. გარდა ამისა, სათადარიგო ჯარიდან (2250 ათას კაციდამ) იაპონია ყოველ წლივ ნახევარ მილიონამდე კაცს სწვრთნის. (ნ.).

სხვადასხვა ამბები. „ბერ. ტაგ.“-ი სწერს: რუსეთის მთავრობას მობილიზაციის გამოცხადება უნდოდა, მაგრამ ძალიან შიშობს, სამხედრო მასალა შემომაკლდებაო. საქმე იმაშია, რომ პატრონებისა, ყუმბარებისა და თოფ-წამლის მკეთებელი მუშები გაიფიცნენ და მუშაობას აღარ აპირობენ.

გერმანელ მექარხნეთ იმედი აქვთ, რომ რუსეთი იმათ აუარებელ სამხედრო მასალას შეუკვეთავს (რ.).

რუსეთის მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას შეატყობინა: იაპონიასთან მიშუამდგომლეთ და შემარიგეთ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ კონტრიბუცია არ მომთხოვოს, თორემ შერიგებაზე უარს ვიტყვიო (ნ.).

კუროპატკინი უკან დაწევის დროს გზაში

ფელეტონი

ახალი ცხოვრება და ქართველი ერი

(ხმა ევროპიდან).

II

მატერიალური კულტურა კაცობრიობის ცხოვრებაში არის ის უმთავრესი ფაქტორი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სულიერ კულტურის განვითარება და წარმატება. ამით იმის თქმა სრულებით არ გვინდა, ვითომ ისტორიაში მხოლოდ, ეგრედ წოდებული, ეკონომიური ფაქტორი იყოს დიდმნიშვნელოვანი. სრულებითაც არა. ჩვენ გვსურს მხოლოდ ამ აქსიომისებური ჭეშმარიტების გამოთქმა, რომ ერის ნორმალური კულტურული განვითარება არსებითად დამოკიდებულია მის ნივთიერ მდგომარეობისაგან. თუ ერი ღარიბია, თუ მას ქონებრივი სიმდიდრე სრულებით არ მოეპოება, ის ვერ შესძლებს თავის სულიერ ძალთა შესაფერად განვითარებას და თავისი ინდივიდუალობის სავსებით გამოჩენას. და სხვა მხრივ კარგი თვისებებითაც დაჯილდოვებული რომ იყოს, ასეთი ერი თავის ეროვნულ ფიზიონომიას მაინც დაკარგავს. ამ აზრის სიმართლეს, რომ კულტურული წინსვლა მჭიდროთაა შეკავშირებული საეკონომიო პროგრესსთან, ნათლად მოწმობს, სხვათა შორის, გერმანული კულტურის საოცარი აყვავება, რომელსაც მთელი განათლებული კაცობრიობა განვითარებაში მოჰყავს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი ერის თანამედროვე კულტურული მდგომარეობაც საკმაოდ ამტკიცებს ამ აზრის სისწორეს. საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენა წაუშლელ დაღს ასვამს ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებას. ყველაზე უფრო ნათლად ეს გავლენა ემჩნევა თანამედროვე ქართველის ფსიხიკას. მას პატარაობიდანვე მუდამ სიღარიბეზე ელაპარაკებიან, მუდამ ქონებრივ შევიწროებაზე აქვს ყურადღება მიპყრობილი. „ქართველები ღარიბები ვართ“-ო—აი ფრაზა, რომელიც წამდაუწუმ ისმის, როგორც მდიდრისაგან ისე ღარიბისაგან. ის თანდათან ეჩვევა ასეთ ვითარებას. მისი საუკეთესო სურვილები და მისწრაფებანი ფრთა-შეკვეცილია. ვითარდება მასში აპატია და უიმედობა. თავისი ერის დაქვეითებასთან ერთად ის ხედავს სხვა პატარა ერთა სწრაფ წინსვლას და ამაღლებას, ხედავს, რომ ქართველნი ვერ უწევენ მათ საჭირო მეტოქეობას, რომ მის სამშობლოში სხვები ბატონდებიან და აუარებელ სამდიდრეს იძენენ...

ქართველების საერთო სიღარიბე დაღს აჩნევს ყველა ჩვენს კულტურულ დაწესებულებათ. სადაც უნდა მივიხედოთ, ყველა ქართულ დაწესებულებაში დიდი გაჭირვებაა ან, უსახსრობის გამო, სრული უმოქმედობა. სულ მცირე საქმის სისრულეში მოყვანა დიდი ძალისა და ენერგიის დახარჯვას თხოულობს. ჩვენი სხვადასხვა-გვარი საზოგადოებანი სავსებით საქველმოქმედო დაწესებულებებია. ქართული ლიტერატურა, ქართული თეატრი სუსტია და განუვითარებელი. და ეს უმთავრესად იმიტომ, რომ მწერლები და მსახიობნი ნივთიერად არ არიან უზრუნველ-ყოფილნი, და ამ მიზეზით შრომის სპეციალიზაცია შეუძლებელი ხდება. ამიტომაც ქართული პრესსის მუშაკნი მოუმზადებელნი არიან თავის მძიმე მოვალეობის ასასრულებლად. ასეთ პირობებში პრესსა და ლიტერატურა ვერ განვითარდება, ან როგორ უნდა განვითარდეს, როდესაც სასარგებლო მოღვაწენი სამოქმედო ასპარეზს უდროვოდ შორდებიან, როდესაც თვით უდიდესი მგოსანიც და აქტიორიც მწერლობითა და სცენით ცხოვრებას ვერ ახერხებენ.

ქართველი მოსწავლე ახალთაობა კიდევ უარესს მდგომარეობაშია. სწავლის და მეცადინეობის მაგივრად, ის აუწერელ სიღატაკეს ებრძვის. გაჭირვების გამო შევიწროებული ახალგაზდობა სერიოზულ და სისტემატიურ მეცადინეობას ვერ ახერხებს და ამიტომაც ცხოვრებაში მოუმზადებელნი გამოდიან. ჩვენში ხომ თითებზე ჩამოთვლა შეიძლება მათი, ვისაც ნამდვილი მეცნიერული განათლება მიუღიათ.

სულ სხვას ვხედავთ ეკონომიურად დაწინაურებულ პატარა ერთა ცხოვრებაში. მათ შედარებით მდიდარი ლიტერატურაც აქვთ, საზოგადო მოღვაწენიც უზრუნველ-ყოფილნი არიან, მოსწავლე ახალთაობაც თავის დანიშნულებას ემსახურება, იძენს საჭირო ცოდნას და სხვ. მათი „საზოგადოებანიც“ უზრუნველ ყოფილია ნივთიერად.

ყველაფერი ნათლად ღაღადებს ჩვენს ჩამორჩენას და განსაკუთრებით ცხადად გვიჩვენებს ამას ის გარემოება, რომ ქართველებს ევროპაში სრულებით ვერ გვცნობენ,—ჩვენი ვინაობა წყვდიადითაა მოცული. არა თუ ჩვენი ისტორია და ეხლანდელი მდგომარეობა, არამედ ჩვენი სახელიც ევროპიელთათვის თითქმის უცნობია. როდესაც ევროპიელს ეუბნებით თქვენს ვინაობას, ის გაკვირვებული გეკითხებათ: „განა არსებობს სადმე ასეთი ერი? ამ ბოლო დროს ევროპიულ გაზეთებში მრავალი ცნობები იბეჭდება კავკასიიდან, მაგრამ სამწუხაროდ მხოლოდ ქართველებს არ იხსენიებენ და ყველაფერს, რაც ჩვენს სამშობლოში ხდება, სხვა ერებს აწერენ. ევროპისაგან ჩვენს გაცნობას, რაიცა თავის-თავად სასურველია, რუსეთის პოლიტიკაზედაც ექნებოდა გავლენა. თუ რუსეთის საზოგადოებაში დღეს ფინლიანდიელებს დიდი თანაგრძნობა აქვთ მოპოვებული, თუ მათ სრულ ეროვნულ ავტონომიას ჰპირდებიან, როგორც ეს ამ ცოტა ხნის წინად რუსთა ერთმა გავლენიანმა პოლიტიკოსმა განაცხადა,—უმთავრესად იმიტომ, რომ ევროპის პრესსა და საზოგადოება ფინლიანდელების მხარეზეა. ევროპის სახელოვანი მოღვაწენი იცავენ ფინლიანდიელთა უფლებებს და ძალ-დატანების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ. ევროპის მსჯავრს კი რუსეთის ბიუროკრატებმაც უნდა მიაქციონ ყურადღება. და არა მარტო ბიუროკრატიამ, არამედ—მთელმა მოწინავე საზოგადოებამაც. თუ ევროპაში ქართველების შესახებ არავინ ხმას არ ამოიღებს, თუ ქართველების ვინაობა ევროპისათვის terra incognita დარჩება, მაშინ ჩვენი მტრებიც უფრო ადვილად მიაღწევენ თავის საწადელს; ისინი ზნეობრივად დამშვიდებულნი იქნებიან, რადგან ევროპას თამამად ეტყვიან: ველური ხალხიაო...

მკითხველმა, იქნება, გვიპასუხოს: თუ ჩვენ ევროპაში სრულებით არ გვიცნობენ, ეს, ალბად, იმიტომ, რომ ევროპიული მეცნიერებისათვის საქართველოს ისტორიის შესწავლა ინტერესს მოკლებულიაო. ასეთი აზრის შედგენა დიდი შეცდომა იქნებოდა. პირიქით, ჩვენი ისტორია და განსაკუთრებით ეკონომიური ისტორია (ოჯახური განწყობილებანი, მეურნეობის სხვადასხვა ფორმები და სხვ.) მეცნიერებისათვის დიდად საყურადღებოა. რომ ეს ასეა, სჩანს იმ ფაქტიდანაც, რომ, როდესაც ამ ორიოდე წლის წინად ბერლინის ერთმა შესანიშნავმა პროფესორმა, ევროპაში კარგად ცნობილმა მეცნიერმა, ერთი ახალგაზდა ქართველის შემწეობით, საქართველოს წარსული გაიცნო, მაშინვე ბერლინის ერთ სამეცნიერო საზოგადოებაში რეფერატი წაიკითხა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ მეცნიერებისათვის ქართველი ერის წარსულის შესწავლა აუცილებლად საჭიროაო.

ჩვენი ასეთი გაუცნობლობა იქიდან წარმოსდგება, რომ ევროპასთან არავითარი კავშირი არ გვაქვს. თუ კარჩაკეტილად ვიცხოვრებთ, რა თქმა უნდა, არავინ არ გაგვიცნობს. თუ თვითონ ჩვენ არ ამოვძრავდით, ისე ხმას არავინ ამოიღებს. მაგ., ჩვენ მეზობელ ერს, სომხებს, ევროპაში შედარებით კარგად იცნობენ, მათ შესახებ ევროპიულ გაზეთებში ხშირად მოწინავე წერილებიც-კი იბეჭდება, რადგან მათი რიცხვი დასავლეთ-ევროპაში თანდათან მრავლდება; მაშინ, როდესაც ქართველები იქ სანთლით უნდა ეძიოთ, ვერ ნახავთ ისეთ დიდ ქალაქს, სადაც არ ცხოვრებდეს რამდენიმე სომეხი ვაჭარი, ან სტუდენტი, რომელნიც ძლიერ მოწადინებულნი არიან გააცნონ თავისი ვინაობა და კულტურა განათლებულ კაცობრიობას: აარსებენ პერიოდულ გამოცემებს სომხური ლიტერატურის შესასწავლად, იწვევენ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს რეფერატების წასაკითხავად და სხვ. თუ რა კარგად იცნობენ მათ, ეს იმ ფაქტიდანაც ირკვევა, რომ გერმანიის ცნობილ უნივერსიტეტებში სომხური გრამმატიკის შესახებაც კი ლექციებს კითხულობენ დიაღ, მათ იცნობენ და კარგადაც იცნობენ. და ეს შეუძლებელი იქნებოდა სომხებისათვის, მათ ვაჭრობა-მრეწველობა რომ არ განევითარებინათ და საზოგადოდ ნივთიერი სიმდიდრე რომ არ შეეძინათ.

ყველა ზემოდ ნათქვამიდან სჩანს, თუ რა გავლენა იქონია ჩვენს საერთო კულტურულ განვითარებაზე სოციალ-ეკონომიურმა ჩამორჩენამ და მოუმზადებლობამ. ნათქვამიდან გამომდინარეობს ისიც, რომ მერმისშიაც, ე. ი. ახალ პოლიტიკურ წყობილების დამყარების შემდეგაც, ჩვენი კულტურული მდგომარეობა დიდათ არ შეიცვლება, თუ გართულებულ ცხოვრებას ისევ ძველებურად, უდარდელად და უზრუნველად შევხვდებით. ის პოლიტიკური რეფორმები, რომელსაც ქართველი ხალხი ასე მოუთმენლად მოელის, უცბად არ შესცვლის ჩვენს კულტურულ მდგომარეობას. მართალია, ინდუსტრალიზმის შეუფერხებელ განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა უფლებრივ წყობილების დამყარება, მაგრამ მთავარი პირობები მის გასავითარებლად ისევ ჩვენგან იქნება დამოკიდებული, ჩვენი ენერგიისა და მომზადებისაგან. ახალ პოლიტიკურ წეს-წყობილების გამეფების შემდეგ კიდევ უფრო ვიგრძნობთ მატერიალურ სიბეჩავეს. ახალი ცხოვრება ახალ კულტურულ მოთხოვნილებებს დაბადებს, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელი შეიქნება. წარმოიდგინეთ, რომ მოვიპოვეთ ნაციონალურ უნივერსიტეტის გახსნის უფლება. უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენთვის შეუძლებელი იქნება უნივერსიტეტის შენახვა. სხვა ერნი კი მაშინვე ადვილად საჭირო ფულსაც იშოვნიან და თავსაც კი არ შეიწუხებენ, ისე გახსნიან რამელსამე უმაღლესს სასწავლებელს ან როგორ უნდა წარვსდგათ წინ კულტურულად ნაბიჯი, როდესაც ეროვნული სიმდიდრე არ მოგვეპოება.

სამართლიანად სწერს ერთი გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი-ეკონომისტი: „ისტორია გვიჩვენებს, რომ საზოგადოების განვითარება მის წევრთა დიფფერენციაციაზეა დაფუძნებული. მაღალი აზროვნების განვითარება, ინტელლიგენტობის და კარგი გემოვნების ამაღლება, აგრეთვე ხელოვნების და მეცნიერების წინსვლა ყოველთვის იყო დამოკიდებული საზოგადოების ერთი კლასის არსებობისაგან, რომელსაც შეძლება ჰქონდა მაღალი საგნებით ემეცადინა, რადგან ნივთიერად არ იყო იძულებული ცხოვრებისათვის საჭირო სახსრის შოვნაზე ეზრუნა». ეს სწორი და შეურყეველი ჭეშმარიტება ქართველთათვის აქსიომად უნდა გახდეს და მაშინ შევიგნებთ ქართული ვაჭრობა-მრეწველობის აუცილებლობას ეროვნული კულტურის წარმატებისთვის. ღატაკი ერი ვერაოდეს ვერ შექმნის მაღალ კულტურას. თუ ჩვენ თავის ეროვნულ სულს ვერ ავაყვავებთ, თუ ჩვენი ინდივიდუალობა თავს ვერ გამოიჩენს, ერთი სიტყვით, თუ ჩვენ არ გვექნება ქართული, შედარებით, მდიდარი ეროვნული კულტურა, ისე ჩვენს არსებობასაც არავითარი აზრი არ ექნება. როგორც განვითარებული საზოგადოება დაყოფილია ჯგუფებად, ისე მთელი კაცობრიობაც—ერებად. ყოველი ერი, პატარაა ის თუ დიდი, წარმოადგენს ინდივიდუალურ ერთეულს. ამიტომაც სასურველი და აუცილებელიცაა სხვადასხვა ეროვნებათა არსებობა, რადგან სოციალური ევოლიუციის მიზანს, თუ კი შესაძლებელია სოციალურ პროცესს მიზანი ჰქონდეს, შეადგენს ინდივიდუალობის განვითარება. ერთფეროვან საზოგადოებათა გროვა სრულებით არ არის ის იდეალი, რომლისაკენ უნდა მიილტვოდეს შეგნებული კაცობრიობა. ერის ინდივიდუალობა და თავისებურება კი უმთავრესად ეროვნულ სულში, ეროვნულ კულტურაში იხატება. ერის ძალთა ნორმალური განვითარება კი, როგორც დავინახეთ, წარმოუდგენელია, თუ ის ეროვნულ სიმდიდრეს მოკლებულია, თუ ის გაღატაკებულია. მხოლოდ ნივთიერად ძლიერ ერს შეუძლია თავისი ფიზიონომია გამოიჩინოს და მით დანიშნულება გაამართლოს.

ამნაირად საქართველოს ეკონომიური წარმატება მოასწავებს ეროვნულ განვითრების აუცილებელ პირობას. ეს არის ქართველი ერის „ყოფნა-არყოფნის“ კითხვა...

ეს უბრალო და ადვილად გასაგები ჭეშმარიტებაა და სამწუხაროა, რომ ასეთი კითხვის შესახებ ქართულ პრესსაში კამათი კიდევ შესაძლებელია.

ლეო გეორგიელი

პრესსა და საზოგადოება.

თუმცა აქა-იქ გამოჩნდება დღესაც რამოდენიმე პირი და ითხოვს,—ალაგმეთ პრესსა, რომელიც ჩვენ საწინააღმდეგოდ აქეზებს ხალხსაო...

120,000 (?) სალდათს შეხვდა, რომელნიც იმის საშველად მიდიოდნენ. პეტერბურგში ეგონათ, ეს ჯარი დიდი ხანია მუკდენში იქნება ჩასულიო, ნამდვილად კი ციმბირის გზა ორის კვირით გაფუჭებულიყო და ჯარიც შეეჩერებინათ. რკინის გზის მთავრობამ ეს ამბავი დამალა, არც პეტერბურგში შეატყობინა და არც კუროპატკინს (ნ.).

რუსეთის ჯარის უკან დახევა. ბრძოლის ველიდან ახალი არაფერი ისმის. რუსები სულ უკან-უკან მიდიან; იაპონელებიც თან მისდევენ და თვალს არ აშორებენ.

ტოკიოდან იუწყებიან: რუსებმა ჩანტუნსა და გირინსაც თავი მიანებეს და პირდაპირ ხარბინისკენ მიდიანო.

სამხედრო საქმის მცოდნენი ამბობენ, თუ რუსებმა სუნგარის ნაპირებზედაც ვერ შეაყენეს იაპონელები, ხარბინის დაცვის იმედი ნუღარ ექნებათო (რ.).

„ბერლ. ტაგებ."-ს ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ: რუსები ძალიან სწრაფად მორბიან. გენ. კუროკის ჯარი ფეხ-და-ფეხ მისდევს. ტელინის აღებამ და აუარებელ რუსების დატყვევებამ იაპონელები უფრო გაამხნევა, განამტკიცა და აღაფრთოვანა. მუკდენის ბრძოლაში დახარალებული იაპონიის ჯარი სწრაფად ივსება, რუსებს კი ჯარი თანდათან აკლდებათ და ამიტომ, რაც უფრო ხანი მიდის, რუსებს იმდენად უფრო მეტი საფრთხე მოელით. რუსებს სურსათი რომ დააკლდათ, ზარბაზნებიდან ცხენებს უშვებენ და ჰკლავენ, ზარბაზნებს კი მიწაში ჰფლავენ.

გენ. ბილდერლინგის ბედი. მეორე ლაშქრის სარდალი გენ. ბილდერლინგი სადღაც დაიკარგაო,—ასე სწერდნენ უცხოელი კორესპონდენტები. დეპეშიდან ვიცით, რომ პირველ ლაშქრის უფროსად კუროპატკინი დანიშნეს, მეორისა—კაულბარსი, მესამისა—ბატიანოვი. მესამე ლაშქრის უფროსი გენ. ბილდერლინგი რაღა იქმნა? ზოგი ამბობს, მოკლესო, ზოგი—დაატყვევესო, (ნ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 15 მარტი. დღეს, დილის ათსა ათზე, ტფილისის ქუჩაზე, ოთხი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა სადგურის უფროსს შიდკოვს, რომელსაც მიჰქონდა ხაზინაში 3000 მანათი. ავაზაკებმა წაართვეს ფული შიდკოვს და მიიმალნენ.

ახალი ამბავი

სოხუმიდან „კავკ."-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ **ქალაქში დიდი მღელვარებააო.** მცხოვრებთა შორის **გამეფებულია ტერორი.** სასწავლებლის მთავრობა შუამდგომლობს, დროებით სწავლა შეჩერებულ იქმნასო.

◆ **ბაქოს მუშათა მდგომარეობაზე გაზ. „კასპი" შემდეგს იუწყება:** მუშები საქმეს ვერ შოულობენ. 12 მარტს ბაქოში, პეტროის მოედანზე, შეიკრიბა 200 უადგილო მუშა. მრეწველთ მხოლოდ 100 მუშა დაიქირავეს. დანარჩენები უსაქმოდ დარჩნენ. დურგლები და მღებავები სულ ვერა შოულობენ სამუშაოს. 10 და 11 მარტსაც შეგროვდა 70—90-მდე შავი მუშა, მაგრამ ცუდი ამინდი იყო სრულიად არავის დაუქირავებია. დღიური ხელფასი შავ მუშებისა 80—85 კაპ.; დურგლებს—1 მან. 20 კაპ.—1 მან. 35 კაპ.; უკანასკნელ ხანებში აუარებელი მუშა აწყდება რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებიდან. რკინის გზის სტატისტიკურ ცნობებით, ხსენებულ ადგილებიდან 15 ათასამდე მუშა ჩამოსულა. ესენი ორი-სამი დღე უსაქმოდ რჩებიან და ამიერ-კავკასიის რკინის გზით ტფილისს, ბათუმსა და სხვა ადგილებში მიდიან, სადაც დიდი **საჭიროებაა მუშა-ხელისა**, რადგანაც **ადგილობრივი მუშები გაფიცულნი არიან.**

◆ მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენ.-ლეიტ. მალამამ **ტფილისშივე დაიბარა ბ-ნი ვეიდენბაუმი**, რომელიც გორის მაზრაში იყო გაგზავნილი იქაურ გლეხთა მღელვარების მიზეზთა გამოსაკვლევად. ბ-ნ ვეიდენბაუმის ტფილისში დაბრუნება გლეხთა მოძრაობის გაძლიერებამ გამოიწვია.

◆ ბათუმიდან გვატყობინებენ,—იქაურს **სტამბებში ყველგან 8 საათის მუშაობა დაუწესებიათ.**

◆ ბათუმის აფთიაქებში 25 იანვარს აქეთ შემოღებულია **დღეში 7 საათის მუშაობა.** დააწესეს აგრეთვე ორ-ოლი წყება. გააუქმეს აფთიაქებში „პანსიონატი" და ამის მაგიერად ფარმაცევტებს (პროვიზორებს, მათ თანაშემწეებს და შეგირდებს) თვეში მიეცემათ სასმელ-საჭმელისათვის 20 მან. და სახლის ქირად—10 მან. (ჩ. ვ.).

◆ ის ცნობა, რომელიც ამას წინად გაზ. „კავკაზ."-ში იყო გამოცხადებული, ვითომ **გურიაში დაკეტილი ბიბლიოთეკები ხელახლა არ გახსნილაო, ტყუილი გამოდგა.** ჩვენ მივიღეთ ძიმითის საზოგადოებისაგან შემდეგი წერილი:

„მოგეხსენებათ, გურიის წიგნთ-საცავ-სამკითხველოები მთავრობისაგან დაკეტილი იყო. დაკეტილთა შორის მოჰყვა ჩვენი ღარიბი სამკითხველოც. დღეს ნება დაგვრთეს, წიგნთ-საცავი ხელახლა გავხსნათ. საუბედუროდ, წიგნების უმეტესი ნაწილი საკითხავად აღარ გამოდგება, რადგან დაკეტილ და დაბექდილ ყუთებში თაგვებისაგან ერთიანად დახრულია"... რადგანაც ასეთ მდგომარეობაში არა მარტო ძიმითის სამკითხველოა, არამედ მთელი გურიის ბიბლიოთეკები და ხალხს კი ხელმოკლეობის გამო შეძლება არ აქვს წიგნები შეიძინოს, აუცილებლად საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ჩვენმა საზოგადოებამ და გამომცემლებმა ხალხს თავიანთი გამოცემები თუ სხვა წიგნები მიაწოდონ.

◆ გორიდან გვატყობინებენ, რომ ორშაბათს, 14 მარტს, **იქ შემდეგი საზარელი ამბავი მომხდარა.** ადგილობრივ სავაჟო სასწავლებლის მოწაფენი შეგროვილან ქუჩაში დილით და დემონსტრატიულად გაუვლიათ ქალთა პროგიმნაზიისაკენ, რათა მოსწავლე ქალებსაც თავი დაენებებინათ სწავლისათვის, მაგრამ ქალები არ დათანხმებულან. მოსწავლეებს ფანჯრები ჩაუმტვრევიათ და დაშლილან. ნაშუადღევს დიდ არეულობას მოელოდნენ. პოლიციას **დაუბარებია ერთი როტა ჯარი,** რომელსაც, შეუნიშნავს რა ერთ ადგილას მოსწავლე ბავშვთა გროვა, დაუწყია თოფის სროლა. ერთი ბავშვი მოუკლავთ, ხოლო თორმეტი დაუჭრიათ.

◆ **ქართლიდან გვატყობინებენ:** სოფელ ტირძნისში (გორის მაზრა) ნ. სულხანიშვილის სახლს შემოხვევია გლეხკაცები, პატრონები სახლიდან გამოუდევნიათ და, თვით სახლის გარდა, ყველა შენობები გადაუწვავთ, სხვათა შორის, ელექტრონის სადგური და ფერმის შენობებიც. ბ-ნი სულხანიშვილი ტფილისში ჩამოსულა. სახლს გლეხებისაგან დაყენებული დარაჯები უდგია.

◆ იქიდანვე გვატყობინებენ, სოფელ ახალდაბაში (გორის მაზრა) რკინის გზის სადგურის ახლო **თ-დ ვას. ალ. სუმბათაშვილის სააგარაკო სახლი დაუწვავთო.**

◆ ტფილისის **წიგნებით მოვაჭრეებმა** (ბუკინისტებმა) ურთიერთ შორის მოილაპარაკეს და დაადგინეს, დღეის იქით შემდეგი წესით ივაჭრონ: საქმის დღით დუქნები ღია ექნებათ დილის 7 საათიდან საღამოს 8 საათამდე, შაბათობით ნაშუადღევის 4 საათამდე, ხოლო კვირაობით ნაშუადღევის სამ საათამდე. საუფლო დღესასწაულებში დუქნები მთელი დღე ექნებათ დაკეტილი.

◆ გასულ კვირას ტფილისის მეპურეებმა, განსაკუთრებით **ცომის მზელავებმა და პურის დამკვრელებმა**, ურთიერთ შორის მოილაპარაკეს და თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შემდეგის მოთხოვნით მიჰმართეს თავიანთ „ხაზეინებს": 1. დაწესდეს რვა საათის სამუშაო დღე; 2. პურის დამკვრელს თვიურად მიეცეს ოცდა ხუთი მანათი, ფართუკები და ოროლჯერ აბანო; 3. პურის მზელავს თვეში—ოცდა ორი მანათი, ფართუკები და ორჯელ აბანო; 4. დაზგაზე მომუშავეს—თვეში თორმეტი მანათი, ფართუკები და აბანო; 5. ავადმყოფობის დროს ხაზეინის ხარჯზე წამლობა, ჯამაგირის მიცემა ისე, როგორც არსებობს სხვადასხვა სახელოსნოებში; 6. საცვლების გასარეცხი ფული; 7. საჭმელ-სასმელი სუფთა და საკმაო; 8. ხაზეინები ზრდილობიანად უნდა ექცეოდნენ მოჯამაგირეებს. სრულიად მოისპოს უსტაბაშის მიერ შემოღებული გადასახადები მოჯამაგირეებზე და მასთან უსტაბაშის თანამდებობაც.

◆ პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორის **ტრეპოვის განკარგულებით**, პუტილოვის ქარხანაში ებრაელ ოსტატების მიღება დროებით შეუმცირებიათ. ეს ოსტატები ამ ბოლოს დროს გაფიცვამდე ამ ქარხანაში მუშაობდნენ (მშაკ).

◆ როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყეთ **გურიის** ერთს დიდ **მემამულეთაგანს** ტ. გურიელს გადაუწყვეტია გლეხებს დაუთმოს პირველი ხარისხის საყანე ქცევა სამ მანათად, მეორე ხარისხისა—ორ მანათად, მესამე—ერთ მანათად.

◆ სამშაბათს, 15 მარტისთვის, ტფ. საარტისტო საზოგადოების თეატრში **დანიშნული ქართული წარმოდგენა „როზა ბერნდტი"**, სხვადასხვა მიზეზთა გამო, **არ შესდგა** და, შეიძლება, სულაც არ გაიმართოს.

◆ დღეს, 17 მარტს, ტფ. საარტისტო საზოგადოების თეატრის საკონცერტო დარბაზში **გაიმართება კონცერტი** ახლად აღორძინებულ **ქართულ საფილარმონიო** საზოგადოების სასარგებლოდ. იმედია, საზოგადოება ამ კონცერტს მრავლად დაესწრება და მით ხელს შეუწყობს ჩვენის ნორჩ და სიმპატიურ საზოგადოების მოღონიერებასა და ფეხზე დაყენებას.

ქუთაისის ცხოვრება

საქალაქო სასწავლებლების უექიმოდ დარჩენა. — აბანოების უსუფთაობა.—ვაჭრების შუამდგომლობა.—წვრილმანი.

ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლები დღეს უექიმოდ დარჩა. წარსულ წლებში ხსენებულ სასწავლებლებში მოსწავლეებს ექიმობა უსასყიდლოდ ნაკისრები ჰქონდა ახლა თემირხანშურაში გადაყვანილ ექიმს გ. ქორქაშვილს, ხოლო დღეს ამ გვარი შრომის სურვილი აქაურ ექიმებში ჯერ არავინ გამოიჩინა.

◆ ექიმის თვალ-ყურის დევნება აქაურ აბანოებსაც კი ესაჭიროება, რადგან უსუფთაობის ბუდედ გადაქცეულა.

ნაბანი ჭუჭყი ქვის იატაკებს ზედ დაჰკვრია. არც აუზები და ოთახები აქვს სუფთა. იშვიათად თუ ვისმე დაუფენენ ზეწარს ტანისამოსის დასაწყობად. დაუწმენდელი წყლის ხმარება ხომ ხშირია და ხშირი.

◆ დღეს, 13 მარტს, ახლად ჩამოსულ გენერალ-გუბერნატორს თ-დ ჯამბაკურ-ორბელიანს წარუდგნენ ვაჭრები და თავიანთი დღევანდელი გასაჭირი მოახსენეს. ერთმა უთხრა: ქუთაისში პურის ფქვილი სულ ოთხი დღის საყოფი და თუ იქნება. გამოწერილი გვაქვს, მაგრამ ზღვასა და რკინის გზებზე მუშები არ მუშაობენ და ამისათვის საქონელი არ მოგვდისო. მეორემ შესტირა, აუარებელი თამბაქო დავამზადე ქარხანაში და ვერსად გამიგზავნია, რკინის გზა არ იღებს, რადგან მუშები არ მუშაობენო. ამისთვის გვიშუამდგომლეთ მთავრობასთან, ამ გვარ მდგომარეობას ბოლო მოუღოსო.

მესამე კი დღევანდელ შიშიანობას დაუფრთხია და მშვიდობიანობის დასამყარებლად შემდეგი შესთხოვა: ქალაქის დღევანდელ მდგომარეობაში ჩავარდნილი მკვიდრი ქუჩებში მოსიარულე სტრაჟნიკების და ყაზახების შიშით საღამოს 7—8 საათს იქით გარედ გამოსვლას ველარ ბედავს. ვისაც შეხვდებიან, სცემენ და ზოგიერთ შემთხვევებში, თუ ვინმე დაიბრიყვეს, კიდეც სძარცვავენო. მთელი დღე-ღამე ცხენებს აჭენებენ და ერთი ვაი უშველებელი ღრიანცელია ქუჩებში. ამისთვის გვევედრებით, ეს ყაზახები მოგვაშოროთ და ამ მხრით მშვიდობიანობა დაამყაროთო.

მშვიდობიანობის დამყარებაო,—უპასუხა თავადმა,—როგორც ჩემგან, ისე უფრო თქვენგან არის დამოკიდებულიო. თქვენ თქვენი ნოქრები დაარიგეთ, მოსწავლეები ნუ აღელვებენ ხალხს, ასწავლეთ მათ დისციპლინა," თავდაჭერილობა; და ვინც არ გაგიგონებთ, მომეცით მე ხელში, მერე მე ვიციო. მე სწორეთ ამ მღელვარების, უწესოების ჩასაქრობად ვარ უმაღლესად დანიშნული და, იმედი მაქვს, თქვენც დამეხმარებით და შესაფერ დახმარებას გამიწევთ დღეს თქვენში შემოპარულ უწესოების ჩაქრობის საქმეშიო.

◆ შაბათს ახალმა გუბერნატორმა თ-დმა ორბელიანმა დაათვალიერა აქაური ციხე და თებერვლის დემონსტრაციაში მონაწილეობის მიმღები რვა კაცი გაანთავისუფლა.

ქალაქის თვითმართველობამ აიჩინა აბონემენტები და უკვე შეუდგა ტელეფონის კეთებას. ეს საქმე გასაკეთებლად ტყიბულის ინჟინერს ალიბეგოვს აქვს აღებული.

ის—არიძე.

სადღეისო

ხმა უდაბნოდან.

„მეტად სამწუხარო ამბები ხდება სკოლაში ამ ბოლოს დროს; მეტად შეწუხებულნი და თანაც შეშინებულნი არიან ამ ამბების გამო მშობლები და ყველა ისინი, რომელნიც შეხარიან ახალგაზდობას და მოელიან მისგან უფრო ნათელ მომავალსაო",—ამოვიკითხე ბ-ნ „მან-თან"-ის წერილში (იხ. „ცნ. ფურც." № 2761). ძალა-უნებურად გავჩერდი ამ წერტილთან, შევწყვიტე კითხვა, მივაპყარი თვალი სიტყვებს: "სამწუხარო... შეწუხებულნი... შეშინებულნი".. და მივეცი თავი მწარე ფიქრებს. ვფიქრობდი და ვერ მომეფიქრებინა, რად სწუხან, რად შეშინებულან, რად შეწუხებულან?

ამ ფიქრებით მოცულმა ოდნავ გადავავლე თვალი მთელ ჩემს წარსულს ცხოვრებას სასწავლებელში; „წარმოვიდგინე, რა ვიყავი, რას ემსახურებოდა სასწავლებელი, რა უნდოდა გამოეყვანა ჩემგან მასწავლებელს... და წინ გადამეშალა მთელი სინამდვილე. ვიგრძენ, რომ სასწავლებელში კი არა ვყოფილვარ, იმ სასწავლებელში, რომელიც უნდა იყოს ტაძარი მეცნიერებისა, მეგობარი მოსწავლესი ჭირშიცა და ლხინშიც, განმავითარებელი მისი ნორჩი გონებისა და აღმზდელი მასში პატიოსანი გრძნობებისა—არა, მე ვყოფილვარ ყაზარმაში, სადაც მეფობდა პრინციპი „ძალმომრეობისა", სადაც სასტიკი დისციპლინის დამორჩილება იყო საზომი მოსწავლის „კეთილ იმედებისა" და ნიჭისა; სადაც სხოლასტიური საგნებით უჩლუნგებდნენ გონებას და უხუთავდნენ მოსწავლეს გრძნობას; სადაც ყოველივე თავისუფალი აზრი, თავისუფალი მოქმედება, ინიციატივა მიუტევებელ ცოდვად იყო აღიარებული; სადაც სიცოცხლით სავსე და თვით-მოქმედების მოსურნე ახალგაზდა უბრალო მანქანად, ტიკინად იყო გადაქცეული, რომელსაც, რაც უნდოდათ, იმას დააყვირებდნენ...

ეს ფიქრები ახლა ორ გრძნობას მიღვიძებს. ერთის მხრით მე მზად ვარ შევიძულო, უარვყო ჩემი თავი, როგორც ფუჭი, საზოგადოებისთვის უმნიშვნელო და გამოუსადეგარი წევრი, რადგან ხალხის სამსახური, იმათ წყვდიად ცხოვრებაში სინათლის შუქის შეტანა მიმაჩნდა, თუ პრაქტიკულად არა, თეორიულად მაინც ჩემი ცხოვრების მიზნად. და, აბა, თქვენ წარმოიდგინეთ ის კაცი, რომელიც თორმეტი წლის განმავლობაში მონურად ემორჩილებოდა და ათელინებდა სხვას თავის პირადობას,—ის კაცი, რომელიც თავისი ელემენტალური უფლებებისთვის ვერ იბრძოდა,

---

მაგრამ, საზოგადოდ, ხალხის უმეტესობა შეგნებულად მოითხოვს რუსეთში და ჩვენშიაც პრესსის თავისუფლებას...

საზღვარ გარედ, ევროპაში, მხოლოდ დიდი ხნის მონობის, და ბრძოლის შემდეგ მოიპოვა პრესსამ თავისუფლება. პრესსას სდევნიდნენ, პრესსას ავიწროვებდნენ, ათასნაირ საშუალებით უნდოდათ დაეხშოთ თავისუფალი აზრის გამოთქმა და ადამიანსაც ეგონებოდა, რომ აგერ-აგერ მოისპობა იგი და ჩაქრება საზოგადოებაში გზის მაჩვენებელი ლამპარიო, მაგრამ ბრძოლაში ბოლოს ყოველთვის პრესსა გამოსულა გამარჯვებული: არავითარ ძალას არ შეუძლიან საზოგადოების გაჩერება, როდესაც მას უნდა წარმოთქვას თავისუფლად თავისი სიტყვა, თავისუფლად მოისმინოს სხვის ნათქვამი.

თავისუფალი აზრის მოსპობა არ შეიძლება ისევე, როგორც არ შეიძლება ჰაერის მოსპობა. შეიძლება ეს აზრი შევზღუდოთ, უფრო ვიწრო კალაპოტში ჩავაგდოთ, მაგრამ მაშინ მატულობს მისი საწინააღმდეგო ძალაც და, ასე აქნება თუ ისე,—თავისუფალი აზრი ბოლოს გზას მოინახავს და გავრცელდება ყველგან. თავისუფალი სიტყვა საჭიროა ხალხის თანდათანობით განვითარებისათვის და პრესსის შევიწროვება შეუძლებლად ხდის ამნაირ თანდათანობას.

ან რა მნიშვნელობა აქვს პრესსასთან ბრძოლას? ზოგიერთს ჰგონია, ვითომც პრესსას შეუძლია ახალი მიმართულების შექმნა საზოგადოებაში, და თავად-აზნაურთა უკანასკნელ კრებებზე ხომ პირდაპირ აბრალებდნენ ქართულ პრესსას,—თქვენ „აამბუნტეთ" ხალხიო, თქვენ შეჰქმენით ის მოძრაობა, რომელმაც ეხლა იჩინა თავი ჩვენშიო და რომელმაც გვაიძულა დაგვეგდო სოფელი და შეგვეფარებინა თავი ტფილისშიო.. შემცდარი შეხედულობაა!

პრესსა—ცხოვრების სარკეა, ან, უკეთ რომ გამოვხატოთ პრესსის მნიშვნელობა ხალხში, უნდა ვთქვათ, რომ იგი წვიმაა, რომელიც ასველებს მიწას, აცოცხლებს მცენარეს, მაგრამ თვითონ ამ მიწიდან ამოსულ ორთქლით საზრდოობს.

პრესსა, ჟურნალ-გაზეთობა აფხიზლებს საზოგადოებას, პრესსის საშუალებით ირკვევს და აცხადებს თავის საჭიროებას საზოგადოება, მისი სხვადასხვა ნაწილი.

დიდია პრესსის გავლენა, მაგრამ ამ გავლენასაც თავისი საფუძველი აქვს,—თვით ხალხის განვითარება, მისი სხვადასხვა საჭიროება და მათი შეგნება. პრესსამ უნდა შეუწყოს ხელი ამ განვითარებას, უნდა უჩვენოს ხალხს ძირითადი მიზეზები, რომლის მიღწევა ხალხისთვის აუცილებლად არის საჭირო...

ამ დიად საქმის შესრულება შეუძლიან პრესსას მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი არ შორდება საზოგადოების ნამდვილ სურვილებს. გაზეთმა რომ მოინდომოს ახალ ცხოვრებასთან შეუფერებელ აზრების გავრცელება ხალხში, ისეთ აზრების, რომელთაც არავითარი ნიადაგი არა აქეთ მოპოვებული საზოგადოებაში, წინდაწინვე შეგვიძლიან ვიცოდეთ, რომ იგი თვითონაც დაიღუპება და მისი მეცადინეობაც უნაყოფოდ ჩაივლის.

პრესსა ყოველთვის ძალა-უნებურად უნდა ეცადოს, რომ არ შესწყდეს მისი კავშირი ხალხთან და ამიტომ იგი მხოლოდ უფრო ნათლად, უფრო მკაფიოდ გამოსთქვამს იმ აზრებს, რომელიც უკვე ტრიალებს ხალხში, მაგრამ ტრიალებს გაურკვეველი, შეუმჩნეველიც.

ამიტომ ყველგან ის გაზეთია უფრო გავრცელებული, რომელიც კისრულობს უფრო გავლენიან, გავრცელებულ დასის წარმომადგენლობას და, პირიქით, ძალიან ნიჭიერიც რომ იყოს გაზეთის მეთაური, მას არავითარი გავლენა არ ექნება, თუ აუხვია გვერდი ცხოვრების არსებულ პირობებს და თავის აზრებს თუ არ მოუძებნა ან ვერ მოუპოვა შესაფერი ნიადაგი საზოგადოების სურვილებსა და აზრებში. რამდენი გაზეთი დაღუპულა ამის გამო ევროპასა და ჩვენშიაც!..

გაზეთში გამოთქმულ აზრების წყარო თვითონვე ხალხია. უწინდელ დროს ქალაქ ადგილებში წყლისაყვანი არ იყო, მაგრამ ხალხი წყალს მაინც ხმარობდა, წყლისაყვანის მოწყობამ მხოლოდ საიქრად გაადვილა წყლის გადაზიდვა,—პრესსაც აადვილებს აზრების გავრცელებას, თუმცა თვითონ არა ჰქმნის ამ აზრებს ისევე, როგორც წყლისაყვანი წყლის ნამდვილი შემქმნელი არ არის.

პრესსა საზოგადოების ნამდვილი შვილია, მისივე შექმნილი. პრესსის გავლენა დიდია, მაგრამ განუსაზღვრელი არ არის. პრესსას შეუძლია მეტი ძალა, მეტი სიცხადე მისცეს ამა თუ იმ საზოგადო მოძრაობას, საერთო დაძაბუნების დროს შეუძლია შეურჩინოს საზოგადოებას სასიცოცხლო ძალები, შეუძლია დააჩქაროს ამ ძალების განვითარება, შეუძლია დააჩქაროს უნიადაგოდ დარჩენილ საზოგადო წეს-წყობილების მოსპობა, მაგრამ ამასთან ერთად არ შეუძლია პრესსას შეჰქმნას თავის-თავად რამე ახალი მოძრაობა ან დაღუპოს ისეთი აზრი ან დაწესებულება, რომელსაც ნიადაგი შერჩენილი აქვს ხალხში.

სწორედ ამიტომ არის, რომ უნაყოფოდ რჩება ყოველთვის საზოგადოებაში ახლად დაწყებულ მოძრაობასთან ბრძოლა პრესსის დამონებით, მის დევნითა და თავისუფალი სიტყვის შეზღუდვით: ხშირი, მეტად ხშირი ყოფილა ახეთი დევნა წარსულ დროებში. საზოგადოებაში ახალი მოძრაობა რომ დაიწყებოდა, თავს რომ იჩენდა რამე უკმაყოფილება,—მთავრობა ყოველთვის მივარდებოდა ხოლმე პრესსასა და უკრძალავდა ლაპარაკს. ევროპის ყოველ სახელმწიფოში უცდიათ ათასნაირი საშუალება იმისთვის, რომ პრესსა „კეთილ-საიმედო" შექმნილიყო, რომ პრესსას არ აღელვებინ ხალხი, არ ექმნა „ბუნტი"... მაგრამ საამისო მეცადინეობას უნაყოფოდ ჩაუვლია ყოველთვის.

პრესსას, ასე თუ ისე, ჩააჩუმებდნენ, თითქმის მონა-მორჩილად იხდიდნენ, მაგრამ ამის გამო არ წყნარდებოდა ხალხი, უკმაყოფილება პირიქით მატულობდა, ძლიერდებოდა თანდათან... ცენზურა ვერაფერს აწყობდა. ოპოზიციას ეკარგებოდა გაზეთებში აზრის გამოთქმის საშუალება, მაგრამ სამაგიეროდ გაორკეცებულის ძალით ემზადებოდა ხოლმე ეს ოპოზიცია ამ, მისთვის არა სასურველ მდგომარეობის მოსასპობლად და ამიტომ ბოლოს თვით მთავრობისთვის უფრო საშიში ხდებოდა. გარედან კი ამ ოპოზიციის მოქმედება არ სჩანდა, გაზეთებს ლაგამი ედოთ და გარეშე მაყურებელს ეგონებოდა, რომ ხალხი კმაყოფილია, რაკი გაზეთებში უკმაყოფილების გამომთქმელი არ არის არავინო.

მთავრობაც დარწმუნებული იყო, რომ რაკი ალაგმავდა პრესსას, თავისუფალ ლაპარაკის ნებას რაკი არ მისცემდა, ოპოზიციასაც დაეკარგება თავისი ძალაო, ეგონა, რომ პრესსა ყოვლად შემძლეა ხალხში. ავიწყდებოდათ, რომ პრესსა მხოლოდ საზოგადოებაში გავრცელებულ უკმაყოფილების სარკეა, მისი გამომხატველი და არა წყარო.

გერმანიაში, მაგ., ისტორიკოს ტრეიჩკეს სიტყვით,—„მეფე და მისი ბიუროკრატია ძალიან ცდილობდნენ მოესპოთ უკმაყოფილება ხალხში. ათასნაირ საშუალებას მიჰმართეს პრესსის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ეს ბრძოლა ამაო შეიქმნა. ცენზორებმა ვერ დაახშეს ჰაერი, რომელიც გაჟღენთილი იყო მთავრობის საწინააღმდეგო აზრებით".

იქ, სადაც ძლიერი, მკაცრი ცენზურა იყო შემოღებული, პრესსა ცდილობდა დაფარულ აზრის გამოთქმას არაკებით, მოხერხებულად, ისე რომ ცენზორს ვერ შესძლებოდა აღმოეჩინა ნაწერში მთავრობის საწინააღმდეგო ქადაგება, თუმცა მკითხველი საზოგადოება ადვილად იგებდა ნაწერის დაფარულს აზრებს და უფრო გატაცებით ეტანებოდა მათ შეთვისებას.

„გამოცდილებამ გვიჩვენა, ამბობს იგივე ტრეიჩკე, რომ ცენზურის შემოღება მხოლოდ აღელვებს ყველას... ცენზურის შიშით ეჩვევა ყველა ფარულ მოქმედებას და ეს მთავრობისათვის ხომ უფრო საშიშია, ვიდრე პირდაპირ გამოთქმული, აშკარა სიტყვა".

იქ, სადაც აკრძალულია ყრილობები, ხალხი იკრიბება ყოველთვის ფარულად; სადაც არ არის სიტყვის თავისუფლება, ჩუმად, ნაცნობებში ლაპარაკობს ადამიანი და ლაპარაკობს ისეთ რამეებს, რასაც არ იტყოდა, რომ ჰქონოდა საჯარო და თავისუფალ ლაპარაკის უფლება, და იქ, სადაც შეზღუდულია ცენზურით პრესსა, ჩნდება უთუოდ და აუცილებლად ფარული პრესსა, საზღვარ გარეთიდან ათასობით შემოდის უცენზურო წიგნები და ხალხიც გატაცებით ეტანება ამ წიგნების კითხვას, ხალხი ცენზურისაგან შეკრეჭილ გაზეთებში სტრიქონსა და სტრიქონს შუა დამალულ აზრსაც კითხულობს, ხალხი იმატებს უკმაყოფილებას და ემზადება ბრძოლისთვის. ბოლოს უნდა იფეთქოს აღელვებამ და ბრძოლაც შეიქმნება აშკარა...

მართლაც, სარკეში თუ არ მოგვწონს ვისიმე სახე, ნუ თუ არ იქმნება ბავშობა, სარკის მოსპობით თვით ამ სახის მოსპობა ვისურვოთ.

დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოში უცდია მთავრობას პრესსასთან ბრძოლა და ყველგან ამ ბრძოლაში პრესსა გამარჯვებული დარჩა, ყველგან მთავრობა შეიქმნა იძულებული მოესპო ცენზურა და შემოეღო პრესსის, ჟურნალ-გაზეთების, სიტყვისა და ყრილობების თავისუფლება. არ არის ევროპაში თითქმის არც ერთი სახელმწიფო, სადაც დღესაც კიდევ ყოფილიყოს აკრძალული თავისუფალი წერა და ლაპარაკი. ამ თავისუფლების შემოღებით არსად არ დაღუპულა ქვეყანა.

რუსეთში არა-ერთხელ უცდიათ ცენზურის მოსპობა. 1855 წ. თ. ვიაზემკი, უმაღლეს საცენზურო გამგეობის წევრი, ამბობდა, რომ, ცენზურას არ შეუძლიან შეცვალოს საზოგადოების ცხოვრება და ამ ცხოვრების მიმართულება. ცენზურა მხოლოდ აღელვებს ხალხსა, უკმაყოფილებას იწვევს საზოგადოებაშიო.

„პრესსის თავისუფლების მოსპობა საშიშია თვით მთავრობისთვის, სწერდა 1862 წ. ერთი ცნობილი მწერალი, მთავრობამ არ უნდა წაართვას საზოგადოებას ისეთი რამე, რომელიც ხალხისთვის აუცილებელია, როგორიც არის, მაგ., სიტყვის თავისუფლება, პრესსისა და ყრილობების თავისუფლება".

ცენზურა არსებობდა, მაგრამ მისი არსებობა „მავნე" მიმართულების მოსასპობად არ აღმოჩნდა საკმარისი და საჭირო შეიქმნა კიდევ ცალკე კომიტეტების დაარსება ცენზურთა მოქმედებისთვის თვალ-ყურის სადევნელად. ბოლოს, 1882 წ., ხომ ოთხ მინისტრს მიენიჭა უფლება დაეხურათ თავიანთ ნებაზე უცენზურო და ცენზურიანი გაზეთები და სწორედ ამ კანონის გამოცემა ამტკიცებს, რომ ცენზურის არსებობა ვერ სპობს სრულებით პრესსაში საოპოზიციო ჰანგებს და ვერ აჩერებს სამუდამოდ ხალხის გონებრივ განვითარებას.

ისტორია გვიჩვენებს, რომ შეკრულ-შებოჭილი საზოგადო ცხოვრება ბოლოს არღვევს თავის ბორკილებს და თავისუფლების მიღწევას ცდილობს. შეუძლებელი ხდება თანდათანი განვითარება, საზოგადოების მშვიდობიანი გაძლიერება,—ამის მაგიერად ხალხი ხდება იძულებული ერთ ხანს გაჩერდეს, მოიკრიბოს ძალა და გადახტეს წინ, მერმე ისევე გაჩერდეს ღონის მოსაკრებად და ისევე გადახტეს,—ყველასათვის საშიში, „საზოგადოდ მოუსვენარი ხდება ცხოვრება.

ასე იქმნება თუ ისე, საზოგადოების ზრდას, ხალხის გამოფხიზლებას ვერ გააჩერებს ვერავინ, ვერ გააჩერებს ამას პრესსის თავისუფლების შეზღუდვაც.

იქ, სადაც გაზეთს გავლენა ემატება ხალხში, უთუოდ უკვე გამოფხიზლებული ყოფილა საზოგადოება; გაზეთი ალბად მიმხვდარა ხალხის დაფარულ აზრებს და ამიტომ გაზეთის მოსპობით არ მოისპობა ის აზრები, მხოლოდ უფრო ხშირი შეიქმნება მათ განხორციელების დროს ძალმომრეობა და აშკარა მტრობა.

ვისაც უნდა მოისპოს ძალ-მომრეობა, უნდა სცდილობდეს უთუოდ პრესსის თავისუფლებას და ამიტომაც საოცარ გონებრივ სილატაკეს იჩენენ ისინი, ვინც ჰკიცხავს პრესსას და ეხლანდელ სოფლის მოძრაობის მიზეზად აცხადებს გაზეთებს, ვინც ამბობს, უნდა მოვუხერხოთ რამე ამ გაზეთებს და მაშინ ხალხის მოძრაობაც თავისთავად ადვილად მოისპობაო.

როგორც ზემოდ გვაქვს ნათქვამი, ამნაირ საშუალებით არ შეიძლება ხალხის უკმაყოფილების მოსპობა, პირიქით, უფრო ძლიერი, უფრო სასტიკი შეიქმნება ამ უკმაყოფილოების გამოხატულობა და ძალ-მომრეობა დატრიალდება იქ, სადაც შესაძლებელი იქმნებოდა საქმის მშვიდობიანად მოწყობა, პრესსას თავისუფალ ლაპარაკის ნება რომ ჰქონოდა მინიჭებული.

ამ საანბანო ჭეშმარიტებას ივიწყებს ის ზოგიერთი ვაჟ-ბატონი, რომელიც ცდილობს პრესსას გადაახვიოს თავზე თავისი ნამოქმედარი, და თამამად ჰყვირის—„ჰკა მაგასო"—იქ, სადაც უნდა ინანებდეს საჯაროდ თავის დანაშაულს, თუ მართლა სურს საქმის მშვიდობიანად და სამართლიანად მოწყობა.

—*

როგორ იქნება ხალხისთვის მებრძოლი... ხოლო მეორე მხრით, „გულს იმედი მეღვიძება“, რადგან გრძნობა აღდგენილი პირადობისა, შელახული თავმოყვარეობისა მიწვევს რომ შევუერთდე სხვა ამხანაგებს საერთო უკმაყოფილების გამოსათქმელად, ამოვუდგე გვერდში და მათთან ერთად ხელი შევუწყო ბოროტების მოსპობას და სიმართლის გამეფებას. ეს ზნეობრივი მოვალეობაა მოსწრებული მოზარდი ახალთაობისა.

რაც შეეხება „იმათ შიშსა და მწუხარებას, რომელნიც შეჰხარიან ახალგაზდობას და მოელიან მისგან უფრო ნათელ მომავალს“, უნდა ვთქვა, რომ ამათი შიში და მწუხარება უსაფუძვლოა; არც მშობლებს და არც საზოგადოებას თითიც არ გაუნძრევიათ ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მე აქ ვგულისხმობ ერთ სასწავლებელს, რომლის დასახელებაც მეტია. საზოგადოება ხედავდა, რომ თითქმის ყოველს წელიწადს ამ სასწავლებელში მოსწავლეთა შორის მღელვარება იყო, ამას ხედავდა სამღვდელოება, რომლის მოვალეობა იყო ხმა ამოეღო, გამოეკითხა—რაშია საქმე. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ! სამღვდელოება გვიქადაგებდა „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი“ო. დეე, შეგაწუხონ, დეე, გაწვალონ. თქვენ მაინც მშვიდათ იყავით, „რათა დაიმკვიდროთ სასუფეველი ცათაო“. მაგრამ შესაძლოა განა იმ დროს, როდესაც საშუალო სასწავლებლის მოწაფეს, რომელიც რამდენისამე ხნის შემდეგ ცხოვრებაში უნდა გამოვიდეს ნება არა აქვს ქართული გაზეთი წაიკითხოს, ქართული ლიტერატურა, მწერლობა შეისწავლოს, ქართული წიგნები იყიდოს და ხელში დაიჭიროს! ამით მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ რუსული ლიტერატურით თავისუფლად შეგვიძლია ვისარგებლოთ,—არა, მაგრამ პირველის განდევნა უფრო საგრძნობელია. მაშ რამ უნდა დააახლოვოს ჩამორჩენილი სასწავლებელი ცხოვრებასთან, თუ არ პრესსამ? და ესეც რომ არ იყოს, განა გაზეთის კითხვა მოსწავლეს აკრძალული უნდა ჰქონდეს?.. არა, მაგრამ ეს ფაქტია.

ამ ერთი თვის წინად სასწავლებლის ზედამხედველმა თვალი შეასწრო ერთს მოსწავლეს, რომელსაც გაზეთ „ცნ. ფ.“ ნომერი ეჭირა და კითხულობდა. ვერ წარმოიდგენთ, რა განრისხებული მივარდა მოსწავლეს და გამოგლიჯა ხელიდგან გაზეთი... დემონიურის სიცილით დაჰპირდა ზედამხედველი: „რაპორტს“ შევიტან, რომ დაგითხოვონო. საწყალი მოსწავლე! ოთხი თვე-და დარჩენოდა კურსის გათავებამდე და გაზეთის კითხვის გულისთვის უნდა დაეთხოვათ... ვერ „წარმოიდგენთ, რამდენი ხვეწნა, რამდენი დამცირება დასჭირდა, რომ ზედამხედველს ეპატიებინა ცოდვა“ (!) და აღარ წარედგინა „რაპორტი“, როგორც არა კეთილ-საიმედო მოსწავლეზე. რისვაივაგლახით შეუმცირეს სასჯელი ამ მოსწავლეს ერთი კვირა კარცერით და ყოფაქცევაში სამით...

მკითხველო, არა გჯერა? მაგრამ როდის მოინდომე, რომ გაგეგო, რა ხდებოდა სასწავლებლის ზღუდეთა შორის? შენ მარტო სტიროდი ახალთაობა არ გვივარგაო... რადა, რა მიზეზია?—ამას არა ჰკითხულობდი. მერე რო გითხრა სხვა ფაქტები, მაშ სულ აღარ დამიჯერებ? აი თუნდა ავიღოთ ეხლანდელი მდგომარეობა მოსწავლეთა. 95—100 მოსწავლე გამორიცხულია ოთხებით ყოფაქცევაში და ზოგი ორებითაც. მერე რისთვის? რა მოხდა ისეთი, რაც არ ხდება სხვაგან? შეკრებილმა მოსწავლეებმა სულ უბრალო მოთხოვნილებები წარუდგინეს უფროსს მოსწავლეთ არაფერი არ უმტვრევიათ, არ უყვირიათ, შესამჩნევი სიმშვიდე ჰქონდათ დაცული. მარამ... უფროსმა თავზედ გადააფხრიწა მოწაფეთ მოთხოვნილებების ფურცელი. ამ დროს შეამჩნია უკმაყოფილოთა ჯგუფში ორი რუსიც (მარტო ორი, თუმცა რიცხვით 60 კაცია) და მიჰმართა: „რა გინდათ თქვენ ქართველებში, გამოეცალეთ მაგათაო“, და გაიყვანა. ამის მნახველებმა მაინც სიმშვიდე არ დაარღვიეს. ეგონათ, შეიწყნარებენ ჩვენს სამართლიან თხოვნასაო. მაგრამ ერთი საათის შემდეგ დაითხოვეს 13 კაცი და დანარჩენმა მოსწავლეებმაც (ქართველებმა და ზოგმა ბერძენმა) გადასწყვიტეს დაეტოვებიათ სასწავლებელი—რიცხვით 140—150 კაცმა. ამათგან, როგორც გავიგეთ, ზოგიერთებს უკანვე იღებენ, ხოლო 95 კაცი კი სამუდამოდ მოაშორეს სასწავლებელს...

გ. ქაჯი.

პრესსა

მეშჩერსკის აზრი რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ.

რუსების სამაგალითო დამარცხების საშინელმა ამბავმა, რომელიც მეხივით დაეცა რუსეთს თავზე სწორედ იმ დროს, როდესაც გამარჯვების იმედი მიეცა, რუსებს მოუკლა გული, ნერვები აუშალა და ისეთნაირად დასცა, რომ ერთ ხანს გაშეშებულივით იყო რუსეთის საზოგადოება,—არა სჯეროდა ასეთი ამბავი.

ყველას თვალწინ ედგა საშინელი სურათი: ათი-ათასობით ეყარა უპატრონოდ აქა-იქ დაჭრილი რუსები, გაქცეულმა ჯარმა ვერ მოუარა დაჭრილებს; გაისმოდა კვნესა, კვნესა და კვნესა და, როდესაც ეს კვნესა შესუსტდებოდა, ზარივით მოედებოდა არე-მარეს სხვა ხმა, ამ კვნესაზე უფრო საშინელი,—ხმა, რომელიც გახურებულ შანთივით გულს უდაგავდა რუსებს.

ეს იყო სიტყვები, რომელიც ათასჯერ გამიგონია, ათასჯერ წამიკითხავს, სიტყვები, რომელსაც ყველა იმეორებდა: „ზავი გამარჯვების შემდეგო!“..

და არ ვიცი, რა იყო უფრო გულსაკლავი,—ის საშინელი სისხლის ღვრა, თუ ეს სიტყვები: გამარჯვების შემდეგო...

და გამიტაცა ფიქრებმა. რაღაც უცნაური, წარმტაცი ფიქრები იყო და, როდესაც ისევ დავუბრუნდი ცხოვრების სინამდვილეს, მამშორდა ყოველივე ეჭვი და ნათლად დავინახე, თუ რა უნდა მოესურვა ყოველ რუსს სულითა და გულით.

რუსმა ამჟამად სულითა და გულით უნდა ისურვოს ზავი, ზავი და ზავი, ზავი რა პირობითაც უნდა იყოს, მაგრამ ეხლავე!..

ზავი უნდოდა ზოგიერთ რუსს მაშინ, როდესაც კიდევ იყო შესაძლო შეღავათიან პირობების მიღება იაპონელებისაგან. მაგრამ მაშინ თამამად მისი მოთხოვა ვერ გაუბედა ვერავის, ეხლა-კი შეიცვალა დროება და ყოველი ნამდვილი რუსი მიხვდა, რომ ბედი უწყალოდ სდევნის რუსებს, რომ მათ გამარჯვება აღარ შეუძლიანთ!

რუსები თხოულობდნენ ზავის ჩამოგდებას მაშინ, როდესაც პორტ-არტური ჯერ კიდევ რუსებისავე ხელში იყო, და მაშინ ადვილი იყო ზავი. ეხლა კი, როდესაც ჯერ ვლადივოსტოკიც არ დაუკარგავთ, უფრო შეღავათიან პირობებით შეიძლება ზავის ჩამოგდება, ვიდრე მაშინ, როდესაც იაპონელები წაართმევენ რუსებს ვლადივოსტოკსა და სახალინს.

ამიტომ დროა რუსებისთვის ზავის ჩამოგდება, დროა ითხოვონ ზავი!

როგორ შეიძლებოდა რუსების გამარჯვება იქ, სადაც რუსები მოუმზადებელნი გამოვიდნენ საომრად, გარეგან დეკორაციებით ჰქონდათ დაფარული მოხელეების ყოველგვარი ბოროტ-მოქმედება, როდესაც რუსები არაფრად აგდებდნენ იმ ერს, რომელიც დღე და ღამე შრომობდა ერთობით იმისთვის, რომ შეექმნა ძლიერი სახელმწიფო.

რუსებს უნდა უხაროდეს ეხლანდელი დამარცხება, თორემ, ასეთ პირობებში მყოფი რუსეთი გამარჯვებული რომ გამოსულიყო, მისთვის ეს გამარჯვება დაღუპვის მიზეზი შეიქმნებოდა უთუოდ.

მშვიდობიანობაზე რომ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, რუსები გაიძახოდნენ, როგორ იქნება, რუსეთი ვერ აიტანს ამნაირ შეურაცხყოფას,—ეგონათ, ამის თქმა სამშობლოს სიყვარულის ნიშანი იყო!

მაგრამ ვინ იყო ამისი მთქმელი? ისინი, ვისაც არ ესმოდა, რომ სამარცხვინო ზავი სჯობდა რუსეთის ხალხისა, და მის ჩინოვნიკობის გახრწნილებას. ამ სირცხვილმა, ამ დამარცხებამ აუხილა თვალი რუსეთის საზოგადოებას. წინედ რუსეთი განათლებული სახელმწიფო ეგონათ. წინედ ხალხის მეთაურები მხოლოდ თავისთვის, თავიანთ კუჭისათვის ზრუნავდნენ, თავიანთ ოცნებას ემსახურებოდნენ და თანაც ამბობდნენ თავმომწონედ: რა კარგადა ვართ! იყოს ხალხი დამშეული, იყოს გაუნათლებელი და უგნური, შეირყეს სამეფო ტახტი, რას დაგვაკლებს ესენი,—იმ წყეულ იაპონელ მაიმუნებზე მაინც გავიმარჯვებთო!

ამას ამბობდნენ რუსები!

და, აი, ამ იაპონელმა მაიმუნმა, ღვთის ნებით, დაამარცხა რუსეთის ჯარი. ეს მაიმუნი თურმე ძლიერი, უძლეველი სახელმწიფო ყოფილა!

მართლაც, ღვთის ნებით! ამ ორმოცი წლის განმავლობაში იზრდებოდა ეს სახელმწიფო და რუსებმა კი არაფერი იცოდნენ. იაპონიამ დაამარცხა რუსეთი, დაამარცხა იმ საშუალებით, რაზედაც რუსებმა თვითონ აიღეს ხელი თავისთვის... რუსებმა ვერ ისწავლეს თუნდაც ამავე იაპონელებისაგან, თუ როგორ უნდა იზრდებოდეს ხალხი, როგორ უნდა განვითარდეს მისი ძალა და ნიჭი...

ეხლა ვიკითხოთ,—მართლა იაპონელებმა დაამარცხეს რუსები?

არა, დამარცხების ნამდვილი მიზეზი თვითონვე რუსები არიან, მათი უნიჭო სარდლები, პოლკის უფროსები, შტაბის წევრები!... მიზეზი ის არის, რომ სამხედრო და საზღვაო უწყება ჰქონდა ჩაგდებული უნიჭო ჩინოვნიკობას, რომ ეს ჩინოვნიკები მხოლოდ თავიანთ .. საკუთარ ჯიბეზე ჰფიქრობდნენ... მიზეზი ის არის, რომ რუსეთის ჩინოვნიკობა, თვით უმაღლესი მოხელეები არაფრად აგდებდნენ სახელმწიფოს კეთილდღეობას და ეგონათ, ვითომც ხალხი და სახელმწიფო იმათ უნიჭო ტვინისთვის ყოფილიყოს გაჩენილი!... მიზეზი ის არის, რომ რუსეთის ინტელიგენციას ეჯავრებოდა ხალხი, რომ არ ვარგა არაფრად სწავლა-განათლებისა და აღზრდის საქმე რუსეთში!.. მიზეზი ის არის, რომ ყველა, მთელი რუსეთის საზოგადოება გაიხრწნა, წახდა გონებით, სულითა და გულით!

აი, ეს შეექმნა მიზეზად იმ დამარცხებას, რომლის მსგავსი, აგერ რამდენიმე საუკუნეა, არ უნახავს კაცობრიობას!

და ეხლა უნდა შეიგნოს რუსეთმა, რომ ეხლავეა საჭირო ამ ომის დასრულება, ეხლავე იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში. სამუდამოდ დაიღუპება რუსეთი...

ზავის ჩამოგდება საჭიროა დაუყოვნებლივ!

მაშ თუ ასეა საქმე და რუსეთი დამარცხდა ღვთის ნებით იმისთვის, რომ გონს მოვიდეს, გაიგოს, რომ ჯარი საომრად კი არ მიდის, არამედ ისე, როგორც საყასპოში საკლავი საქონელი, რომ დაიხოცება ყველა, ვისაც გაგზავნიან აქეთ, დაიხოცება იმიტომ, რომ თანდათან უფრო აშკარად მოჩანს სარდლების უვარგისობა, უნიჭობა, არარაობა...ყოველ ოფიციალ ცნობაში, რომელიც ომის ველიდან მოდის, ვხედავთ აშკარად, რომ დაბრმავებულან ისინი, ვისაც აბარია ჯარის ბედი და იღბალი. მუკდენთან დამარცხების შემდეგ ჯარის მთავარ-სარდალი თითქო თავს იმითი იმართლებს რომ რუსების მზვერავი რაზმი უვარგისი არისო. ასე სჩანს, მთავარ-სარდალი მხოლოდ 14 თვის ომიანობის შემდეგ მიხვდა, რომ იაპონელებს უკეთესად აქვთ მოწყობილი ის საქმე და რომ მზვერავი რაზმების მოწყობა უმთავრესი საქმეა ომის დროს... ეხლა შეიტყო ყველამ, რომ რუსებს არ ჰყოლიათ ნამდვილად მზვერავი რაზმები, თუმცა რუსებს ცხენოსანი ჯარი ათჯერ მეტი ჰყავთ, ვიდრე იაპონელებს; მთავარ სარდალს არა სცოდნია, რომ ჩინელებს ეჯავრებათ რუსების სარდლები იმიტომ რომ ესენი მხოლოდ სძარცვამდნენ ჩინეთის სამლოცველოებს, ყველაფერი მიჰქონდათ მანჯურიიდან.

შეუძლებელია არ ალაპარაკდეს საზოგადოება და გაჩუმდეს ამ საზიზღრობის გამო მაშინ, როდესაც კიდევ ასი-ათასი საუკეთესო, სიცოცხლით სავსე ახალგაზდა დაიღუპა გენერლების ძარცვა-გლეჯის გამო მანჯურიაში!

ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს რუსეთის ერმა, რომ ამ ომიანობაში დამარცხდა. გამარჯვება დაჰფარავდა სახელმწიფო ცხოვრების იარებს, ვერ დაანახვებდა ხალხს, როგორ ცუდად არის ჩაცმული რუსის ჯარის-კაცი, რამდენად ცუდია მისი საჭმელი, დაფარავდა იმათ, ვინც მშვიდობიანობის დროს სძარცვავდა ხალხს მანჯურიაში, ვინც სძარცვავდა ხაზინას,—არა, მადლობა უფალს, რომ დამარცხდა რუსეთი და არავითარი აზრი აღარ აქვს ომიანობის გაგრძელებას, ვინაიდან ახლა და მხოლოდ ახლა შეუძლია რუსეთს განახლების გზაზე დადგომა!.. (გრაჟდანინი № 18)

რუსეთი

დრამატიულ მწერლების აზრი. „თავისუფლების გარეშე ხელოვნება არ არსებობს. ჭეშმარიტ შემოქმედებასთან არსებულ რეჟიმის პირობებს ხელი არ უნდა ჰქონდეს. დრამატიული ლიტერატურა შემოქმედების უუმაღლესი ფორმაა; თეატრი—ერთად ერთი გამომხატველია ამ ლიტერატურისა, მაგრამ იმავე დროს თეატრი საზოგადოებრივ თვითცნობიერების გამღვიძებელი ფაქტორიც არის. თეატრის მდგომარეობა სახელმწიფოში მისი კულტურულ ზრდის ან სიკვდილის მაჩვენებელია. ახლა თეატრი ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში არსად არ არის, როგორც რუსეთში. ამის უმთავრესი მიზეზი—დრამატურგიის აწინდელი მდგომარეობაა. ადმინისტრატიული თვითნებობა დრამატურგიისთანა ტანჯვას ლიტერატურის არც ერთ დარგს არ აყენებს. თეატრის ბედ-იღბალს რამდენიმე ჩინოვნიკი განაგებს. ეს ჩინოვნიკები თავისს გემოვნებაზე ცვლიან პიესების შინაარს, რყვნიან მის წყობილებას, ამახინჯებენ მის დედა-აზრს და საზოგადო ცხოვრების მრავალ მხარეებზე წერას კრძალავენ. ასე დამახინჯებულ დრამატიულ ნაწარმოებსაც სხვა ახალი გასაჭირი ადგება: ყოველ წუთს მოსალოდნელია მისი აღკრძალვა, ყოველის უწყების მოთხოვნის თანახმად შეიძლება ამოშალონ რეპერტუარიდან. შეიძლება აღკრძალონ მარტო იმიტომ, რომ ზოგიერთ ფრაზებს პიესისას საზოგადოება ტაშის ცემით ეგებება. რა უფლებით სჩადიან ამას რუსულ დრამატურგიის ბედ-იღბლის გამგენი, ეს ჩვენთვის, დრამატურგთათვის, არავის უპასუხნია და არც პასუხის ღირსად გვთვლიან. ერთად ერთი გზა, რომელიც გამოგვიყვანს ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან, ეს რუსეთის ცხოვრების განახლებაა“.

ამ განცხადებას ხელს აწერს მრავალი დრამატურგი, სხვათა შორის ჩვენი თანამემამულე ა. სუმბათაშვილიც. («რუსი»).

ხერსონელ მოქალაქეთა განცხადება. ხერსონის საბჭოს ასეთი განცხადება მიუღია: ეს მეორე წელიწადია, რაც მკაცრი ომი გრძელდება; მეორე წელიწადია, ჩვენში ძმების, ქმრების, შვილების და მამების სისხლით ირწყვის უცნობის მანჯურიის მინდვრები. ამ ომმა, რომელიც ყოყოჩობით გატაცებულმა ჩვენმა პოლიტიკანებმა ხალხის ნებადაურთველად დაიწყეს, ჩვენ წინ უფსკრული გათხარა, გამოაჩინა ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივ მდგომარეობის ღრმა წყლულები. ამან გამოიწვია 12 დეკემბრის უმაღლესი ბრძანება, მრავალი გადაწყვეტილება და ადრესები, რომელიც ყოველნაირ საზოგადო კრებებზე იყო გამოთქმული და მიღებული; რუსეთის საზოგადოებამ დაინახა, რომ ჩვენის სახელმწიფო წეს-წყობილების შეუცვლელად შეუძლებელია საქმის გამოკეთება. დაინახა, რომ სანამ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მთელი ერი არ მიიღებს მონაწილეობას, მანამდის რუსეთის ერის ქონებრივი, გონებრივი და ზნეობრივი ზრდა-განვითარება შეუძლებელია. ყველა მიხვდა, რომ არც ადმინისტრაციის თვითნებობის მოსპობა, არც გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესობა, არც კანონიერების დაცვა, არც კანონის წინაშე თანასწორობა და არც სხვა ზომები, რომელსაც უმაღლეს უკაზი ერს პირდება,—ვერ დაამშვიდებს სახელმწიფოს, სანამ იგი მტკიცე უფლებრივ საძირკველზე არ იქნება დამყარებული. 200 მოქალაქე მოხსენების ბოლოში სახელმწიფო მართვა-გამგეობაში წარმომადგენლობითი სისტემის შემოღებას თხოულობს. მარტო ეს სისტემა მოსპობს ომს და განაახლებს დამოუკიდებელ წესწყობილებისაო. («პ.»).

გლეხების მოძრაობა კურსკის გუბერნიიდან ჩერნიგოვის გუბერნიაშიაც გადასულა. 3000 კაცს დაუწვავს ტერეშჩენკოს შაქრის ქარხანა და გაუნადგურებია სახლ-კარი. 23 თებერვალს სოფ. „ხიმენის“ გასანადგურებლად წასულან. (პ.).

ნიჟ. ნოვგოროდში ვაჭრობა ძლიერ დაკემულა. მხოლოდ **ტყვია-წამლის მაღაზიებშია,** თურმე, **გაცხარებული ვაჭრობა.** ერთი ამისთანა მაღაზიის პატრონი ისე შეუშინებია თავისსავე მოგებას, რომ წასულა და პოლიციისთვის შეუჩივლია, ერთი კვირის განმავლობაში 364 რევოლვერი და აურაცხელი ტყვია-წამალი გაუყიდიო. პოლიციას დახლში თავისი აგენტი დაუსვამს და ვაჭრობის შესახებ ჭეშმარიტ ცნობებსა ჰკრეფს. (პ.).

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

16 მარტი.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობები შორეულ აღმოსავლეთიდან 15 მარტს არ მოსულა.

ჰამბურგი, 15 მარტი. აქ ძალიან უკვირთ, რომ ორი ჰამბურგში დაქირავებული გემი ომის დროის ზარალისაგან დაზღვეულია. ეს იმ ექვს გემთაგანია, რომლებიც რამდენისამე თვის შემდეგ გერმანიის (?) ესკადრას უნდა გაჰყვეს ჩინეთის ზღვამდე და ქვა ნახშირი უზიდოს. გაუგებარია, გემის პატრონები დაზღვევისთვის რად აძლევენ დიდს არა ჩვეულებრივ გადასახადს. ეს ამბავი იმის ნიშნად მიაჩნიათ, რომ საქმეები იწეწებაო. ორივე გემი შორეულ აღმოსავლეთშია. ვლადივოსტოკში ნახშირი ჩაუბარებიათ, იაპონელებს გამოჰპარვიათ და ჩინეთის პორტში მისულან.

ლონდონი, 15 მარტი. იაპონიის სესხის წესი გამოცხადდა. 100 გირვანქა სტერლინგზე ნაკლები ობლიგაცია არ იქნება. სჩანს, სესხს მხოლოდ კაპიტალისტები აიღებენ.

ტოკიო. ამბობენ, ნიდერლანდიის, ბელგიისა გერმანიის ფინანსისტები 50 მილიონ გირვანქა სტერლინგს აიღებენო. გაზეთები აქებენ იაპონიის დიპლომატიასა და მთავრობას, რომ სესხის განაღდება მოახერხა. „კოკუმინი“ ფინანსიურ გამარჯვებას ულოცავს იაპონიის მთავრობას, ეგ უკეთესი იარაღია, რომელიც რუსეთს აიძულებს ომს ბოლო მოუღოსო.

ტომსკი. ციმბირის რკინის გზის უფროსი აცხადებს, ბარგი აღარ გაიგზავნება ჩელიაბინსკის აღმოსავლეთადო.

პეტერბურგი. გენერალ ხარკევიჩის დეპეშა, მთავარ-შტაბის სახელზე, 16 მარტიდან: ლაშქრებში ცვლილება არ არის. 13 მარტს ჩვენს თავისუფალ რაზმებსა და იაპონელების ერთს როტასა და ესკადრონს თოფის სროლა აუტეხათ ხანშალინთან. მთავარ-სარდალმა კუნშინ მეორე ლაშქრის ჯარები დაათვალიერა. ჯარს მხნე, ჯანსაღი და გულადი შეხედულება აქვს.

სიტიაზი, 16 მარტი. დილის 8 ს. 45 წ. ამბობენ, ეს ერთი კვირაა, იაპონელები წინ აღარ მოდიანო. მათი უმთავრესი ძალა ტელინშია, მოწინავე—კაიუანს.

ნიუ-ჩუანი, 16 მარტი. იაპონელებმა დღეს გამოაცხადეს, რომ ლიაოხეზე ნაოსნობა დაიწყოო. 22 გემი ნავთსადგურში შემოვიდა, მათ რიცხვში იაპონელების 8 ტრანსპორტი და საავადმყოფო გემია.

ლონდონი, 15 მარტი. დღეს გამოცხადდა იაპონიის სესხის პროექტი. საკომისიო ბანკებთან დიდძალი ხალხი გროვდება.

პეტერბურგი, 16 მარტი. ოფიციალურად. უმაღლესი რესკრიპტი ვარშავის გენერალ-გუბერნატორის მაქსიმოვიჩის სახელობაზე: კონსტანტინე კლავდიევიჩ!

პრივისლიანის მხარეში სამოქალაქო მდგომარეობის ძირითად განხილვის შემდეგ, უკანასკნელ ორმოცის წლის განმავლობაში, ცხოვრების ბუნებრივმა მიმდინარეობამ წარმოავლინა ადგილობრივად არა მცირემნიშვნელოვან საჭიროებათა მთელი ჯგუფი, რომელნიც დღეს მთავრობის მზრუნველობის საგანს შეადგენს. სამწუხაროდ, წესწყობილების მტერთა უკანონო მეცადინეობა ამღვრევს პოლონელ ხალხის მშვიდობიანობას და მით მომწიფებულ საკითხთა წყნარი განსჯა ბრკოლდება. ამავე დროს პოლონელთა საზოგადოების ზოგი ჯგუფები მოუფიქრებლად და უკანონო საქციელით გადაჭარბებულ მოთხოვნილებას აცხადებენ შესახებ სახელმწიფო ენისა, რომელსაც მრავალ-ეროვნებიან რუსეთის სახელმწიფოს ყველა კუთხეში ყოველთვის ღირსეული და თვალსაჩინო ადგილი უნდა ეჭიროს, ხოლო ადგილობრივი ენებიც უსაჭიროდ და უსამართლოდ არ უნდა შევიწროვდეს. განვანდობ რა პრივისლიანის მხარის გუბერნიათა საქმეების უახლოეს ხელმძღვანელობას, თანახმად ჩემთა განზრახულებათა, საკეთილოდ მიმაჩნია, რომ კანონიერისა და მტკიცე საშუალებით განგებ გამოწვეულ არეულობის დახშობასთან ერთად თქვენ შეუდგეთ იმ ადგილობრივ წესწყობილების ცვლილებათა შემუშავებას, რასაც თქვენ საჭიროდ დაინახავთ ამ მარად ჩემს გულთან მახლობელ და რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებთან სამუდამოდ გაერთებულ ქვეყნისთვის. მარად თქვენი მწყალობელი. ნამდვილს საკუთარს მის იმპერატორობითის უდიდებულესობის ხელით აწერია **ნიკოლოოზ.** 14 მარტი, 1905 წ. ცარსკოე სელო.

პარიჟი, 15 მარტი. ამიენში ჟიულ ვერნი დაასაფლავეს. კუბოს დიდძალი ხალხი მისდევდა. ისე სცეს პატივი, როგორც სამხედრო კაცს.

ლოძი, 15 მარტი. უზნის ზედამხედველს კირილოვს ოთხჯერ ესროლეს. ერთმა ტყვიამ პორტფელი გახვრიტა, რომელშიაც ქაღალდები ეწყო და შინელის დაბამბულ სარჩულში გაჩერდა. დაჭრილი არ არის.

სტამბოლი, 15 მარტი. კრიტზე აჯანყებას საფიქრებელია, მალე ჩააქრობენ უსისხლოდ.

ბელგრადი. ორი ოფიცერი შუადღისას უმთავრეს ქუჩაზე ოპოზიციურ გაზეთის რედაქტორს ველიჩკოვიჩს დაეცა, რამდენჯერმე ესროლეს კიდეც, მაგრამ არავის მოხვედრია. გამვლელ-გამომვლელები რედაქტორს მიეშველნენ და გადაარჩინეს. ცოტა ხნის შემდეგ სკუპშტინა როვანოვიჩსაც ვიღაცები დაეცნენ და ცემით წააქციეს. ამ დროს დამოუკიდებელ რადიკალთა წინამძღოლი ჟივკოვიჩი მიდიოდა, მიეშველა და ცოცხალ-მკვდარი როვანოვიჩი გადაარჩინა.—მთელ ქვეყნის ოფიცერთა ასსოციაციის კრება დაიწყო ახალ ბიუროს ასარჩევად. დიდი მოძრაობაა შეთქმულთა წინააღმდეგ, მეტადრე სადარაჯო ჯარის წარმომადგენელთა შორის. სამხედრო მინისტრი ცდილობს [illegible] დააშოშმინოს.

ბუდაპეშტი. იმპერატორი და ტისსა ძალიან სთხოვდნენ ელეს სეჩენს დროებით სამინისტროს შედგენას. სეჩენმა ურჩია მეფეს, ოპოზიციის მოთხოვნილებას არ დაემორჩილოთ [illegible] შესახებ, რადგან ეს ავსტრიას ძლიერებას შეარყევსო.

ბერლინი. ამბობენ, იმპერატორი ვილჰელმი ხმელთაშუა ზღვაზე მოგზაურობის დროს საბერძნეთის ოჯახს შეხვდება კორფუში.

რომი. ახალი კაბინეტი შედგა. მინისტრ-პრეზიდენტად და შინაგან საქმეთა მინისტრად ფორტისია.

ლონდონი, 16 მარტი. რუსეთის საფინანსო აგენტი რუტკოვსკი „სტანდარტ“-ს სწერს რუსეთის ვითომდა გაკოტრების შესახებ, ინგლისს უფრო დიდი ვალი აქვს და წლიურად მეტს სარგებელს იხდის, ვიდრე რუსეთიო.

ლონდონი, 15 მარტი. ლორდმა ლანსდოუნმა ლორდთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა მაკედონიის შესახებ, ინგლისი განცალკევებით ვერ იმოქმედებსო.

საზოგადოებათა პალატაში ლიბერალმა ვილტონმა რეზოლიუცია წარადგინა, რომელშიაც ჰკიცხავდა ბალფურის საბაჟო პოლიტიკას. მთავრობის მომხრეებმა კამათში მონაწილეობა თითქმის არ მიიღეს. რეზოლიუცია ერთხმად მიიღო პალატამ, რამაც ოპოზიცია მეტად გახარა და ტაშის-კვრა გამოიწვია.

პეკინი, 16 მარტი. ევროპიელების და რუსების მოწინააღმდეგე გაზეთი „მანჭაო“ მთავრობამ მოსპო მავნე მიმართულებისათვის. რედაქტორი იაპონიაში გაიქცა.

სტამბოლი. ჯარის და აჯანყებულების შეტაკების დროს ბულგარიის ჯარის თოფების მინაგვარი იპოვეს. ამით ამტკიცებენ, ვითომც ბულგარიის მთავრობა აჯანყებულებს იარაღს აძლევდა და 25,000 თოფი დაურიგათ.

რუანი, 16 მარტი. სოციალისტთა კრებამ ერთხმად დაადგინა, საფრანგეთის სოციალისტთა დასები უნდა გაერთდნენო.

ლონდონი, 15 მარტი. საზოგადოებათა პალატაში ლაურენსის შეკითხვაზე გრაფმა პერსიმ უპასუხა,—მიწერ-მოწერა, რომელიც რუსეთსა და ინგლისს ჰქონდათ სამხედრო კონტრაბანდის საქმეზე, ეხებოდა მხოლოდ იმ მოთხოვნილებათ, რომელიც დიდბრიტანიის მთავრობამ წარუდგინა რუსეთსა. საფუძველი არა გვაქვს საჩივარი განვაცხადოთ რუსთა საზღვაო მოხელეებზე მას აქეთ, რაც მათ მთავრობისაგან უკანასკნელად დამატებითი ინსტრუქცია მიუვიდათო. საზღვაო სამინისტროს სტატს-სეკრეტარის ამხანაგმა სთქვა,—გასულის წლის ნოემბერში არც გერმანიასა და არც საფრანგეთს არ განუზრახავთ ახალ გემთა აშენებაო. რუსეთის მთავრობის მეტად ვრცელ პროგრამას იხილავენ საქმის კარგად მცოდნენი, მაგრამ რას შეიცავს და როდის განხორციელდება, ჯერ არავინ უწყის.

საიგონი, 15 მარტი. წყალში გადამრჩენელმა ჰონკონგის საზოგადოებამ უარი განაცხადა ჯავშან-გადაკრულ კრეისერის „სიუდლი“-ს ამოღებაზე.

ბერლინი, 16 მარტი. აქაურს მუშათა სახლში დაიწყო სამთო მუშების დელეგატთა კრება კამათს სიწყნარე და საქმიანობა ეტყობა.

პეტერბურგი, 15 მარტი. საზღვაო სატეხნიკო კომიტეტის თავმჯდომარეს ვიცე ადმირალს დუბასოვს ებოძა გენერალ-ადიუტანტობა და თავისსავე თანამდებობაზე დარჩება.—საერო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ 13—17 აპრილამდე რომში მოჰხდება ფსიხოლოგთა მეხუთე მსოფლიო კონგრესიო.

სტამბოლი, 15 მარტი. დიდ სახელმწიფოთა პორტას ელჩებმა ყურადღება მიაქციეს სალონიკის ვილაიეტში ოსმალეთის ჯარებისაგან მოხდენილ უწესობებს. პორტამ აუწყა საელჩოებს დანაშაული ბულგარელ მეამბოხეთა და ამტკიცებს,—თვით ბულგარიის მთავრობა უწყობს ხელს მეამბოხეთ: თოფებსა და სხვა საჭირო იარაღებს აძლევსო; აგრეთვე დასძინა, სარევოლიუციო კომიტეტმა გადასწყვიტა ააფეთქოს ყაზარმები და სხვა საზოგადო დაწესებულებათა შენობანიო. არც პორტასა და არც საელჩოებს დაწვრილებითი ცნობები არ მოსვლიათ კრიტში მომხდარ ამბების შესახებ. ჰფიქრობენ, კრიტის საბერძნეთთან შეერთება საყოველთაო სურვილი არაა და ამიტომ უყურადღებოდ იქმნება დატოვებულიო.

პეტერბურგი, 16 მარტი. სანამ გასულის წლის 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანების თანახმად განსაკუთრებულს კანონ-დებულებას გადასინჯავდნენ, ქალაქებს: ვარშავასა, ლოძსა ვარშავისა და პეტროკოვის გუბერნიებში შემოღებულ იქმნა გაძლიერებულ დაცვის დებულება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში 1906 წლის 16 იანვარს იქით კი არა.

14 მარტს ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა ტფილისის გუბერნატორი გენ-მაიორი ა. ნ. სვეჩინი.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

განცხადებანი

ლაგოდეხიდან, ამხანაგობის „შრომის“ (კ. აფრიკიანის) **სანერგეებიდან,** ჩამოტანილია 1—3 წლის **ხეხილები** და სხვადასხვა ჯიშის **ხეხილის ნერგები.** იყიდება ტფილისსა და გორში. მსურველთ მიჰმართონ: ტფილისში—„მელიქ ბახტამიანცისა და ამხ.“-ის მაღაზიას, პუშკინის ქუჩაზე, გორში,—კ. აფრიკიანს. (6—4)

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შ რ ო მ ა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში,

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 марта 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.